საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 60 (80)
პარასკევი, 29 მარტი, 1991 წელი.
ფასი 10 კაპიკი

31 მარტი — რეფერენდუმი, საკრებულოების არჩევნები

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

თანამემამულენო, თქვენთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა მემკვიდრეობა ჩაიბარა ერის მიერ არჩეულმა პარლამენტმა. საქართველოს ახალი მთავრობა ყველა ღონეს მიმართავს კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად. გამოუვალი მდგომარეობით იყო განპირობებული ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რადგან მხოლოდ მისი მეშვეობით იყო შესაძლებელი საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების პროდუქტების და სახალხო მოხმარების საქონლის მიღება.

პროგრამა „ვრემიას" მიერ გადაცემულ ინფორმაციაში აღინიშნა, რომ თითქოს ფასების გაზრდის შესახებ დოკუმენტზე ხელი მოეწეროს რესპუბლიკის პარლამენტის ხელმძღვანელს და ახალი მთავრობის თავმჯდომარეს. სინამდვილეში დოკუმენტზე ხელი აქვს მოწერილი ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ამჟამად სამსახურებრივი მოვალეობისაგან განთავისუფლებულ ო. მელქაძეს.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა კავშირში მზადდებოდა ეგრეთ წოდებული ფასების რეფორმა, უფრო ზუსტად, ფასების ზრდა, რომელიც წინასწარი ცნობით უნდა მომხდარიყო 1 მარტიდან. ცენტრმა, გაითვალისწინა რა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის საბოლოო შედეგებზე ფასების ზრდის მათთვის არასასურველი გავლენა, აგრეთვე 28 მარტის რსფსრ-ს სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობა (ფაქტობრივად მიძღვნილი ელცინისადმი), სადაც ფასების ზრდა ასევე დადებითი იქნებოდა ელცინისათვის, ხოლო უარყოფითი ცენტრისათვის, მიიღო გადაწყვეტილება მისი 2 აპრილიდან ძალაში შესვლის შესახებ.

ამით ცენტრმა მოსახლეობისათვის ესოდენ რთული საკითხი თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას დაუქვემდებარა.

ჩვენი რესპუბლიკისათვისაც მას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა. ჯერ ერთი, წინასწარი მოლაპარაკების მიუხედავად, რომელიც გულისხმობდა ფასების რეფორმის შესახებ სამთავრობო დადგენილების გამოქვეყნებას 1 თვით ადრე, რაც მოგვცემდა მოსახლეობისათვის საკომპენსაციო თანხმების უმტკივნეულოდ და ორგანიზებულად გაცემის საშუალებას, სინამდვილეში დადგენილება თარიღდება 19 მარტით და საკავშირო პრესაში ქვეყნდება 22 მარტს, რამაც თითქმის შეუძლებელი გახადა რესპუბლიკის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ მთელი რიგი საკომპენსაციო პოზიციების შეცვლა-შერბილება; მეორეც, რესპუბლიკას საკომპენსაციო თანხების გარკვეული ნაწილი საკავშირო ბიუჯეტიდან უნდა მიეღო, მაგრამ ეგრეთ წოდებულმა „ცენტრმა" განიზრახა „ურჩი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, მატერიალურად დასჯა და „დამყოლი" ერთიანი ძმური ოჯახის მოსურნე რესპუბლიკების დახმარება.

საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა მოსახლეობის დახმარების ერთიანი საკავშირო-რესპუბლიკური საფინანსო ფონდი, რომელშიც საქართველომ, სხვა „ურჩებთან" ერთად, უნდა შეიტანოს 500 მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც მთელი რიგი „დამყოლი" რესპუბლიკები პირიქით ხსენებული ფონდიდან ღებულობენ ასეული მილიონობით მანეთის დახმარებას. ყოველივე ეს ჩვენს დეფიციტურ ბიუჯეტს კიდევ უფრო ამძიმებს; მესამეც, ცენტრს საკომპენსაციო მექანიზმის მიმართ მხოლოდ რეკომენდაციები უნდა მიეცა, საკომპენსაციო თანხები კი გაიცემოდა გამსხვილებული მაჩვენებლებით, ე. ი. უფრო მობილური მექანიზმით. სინამდვილეში კომპენსაციების მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ არ შეიძლება გაართულოს, გრძელვადიანი გახადოს ფულადი სახსრების მოსახლეობაზე გაცემა. ყოველივე ეს მათი აზრით, თითქოს გარკვეულ ნეგატიურ გავლენას მოახდენს 31 მარტის არჩევნებზე და იმავე რიცხვში დანიშნული რეფერენდუმის შედეგებზე.

საქართველოს მოსახლეობას ყოველთვის შესწევდა რთულ პოლიტიკურ საკითხებში გარკვევის უნარი. ასეა ახლაც. თბილისის სოციალური კვლევის ცენტრის მიერ გამოკითხული მოსახლეობის 71 პროცენტი თვლის, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალია და ამას ფასების რეფორმა ვერ უშველის, 74 პროცენტს მიაჩნია, რომ ფასების რეფორმა უარყოფით გავლენას მოახდენს მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე; 41,5 პროცენტი თვლის, რომ ფასების რეფორმა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

ეგრეთ წოდებული „ცენტრის" მიერ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედება გვაფიქრებინებს, რომ უნდა დავაჩქაროთ საკუთარი ეროვნული ფულის ნიშნების შემოღება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამაშიც, დღევანდელი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, მხარში ამოგვიდგება თითოეული მოქალაქე, როგორც ეს მოხდა ეროვნული გვარდიის შექმნისას.

დღეს საქართველოს მოსახლეობის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმას, ვისაც ევალება მოსახლეობისათვის კომპენსაციების დადგენა და გაცემა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მოქალაქის შეგნებულ მიდგომას რთული საკითხისადმი.

თავის მხრივ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რესპუბლიკის მთავრობა ყველა შესაძლო ღონისძიებას განახორციელებენ, რათა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს საცალო ფასების მომატების პროცესმა.

გვჯერა, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს 31 მარტის არჩევნებში და რეფერენდუმში და მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

მხოლოდ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა იქნება ეკონომიკის აღმავლობის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უტყუარი გარანტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

1991 წლის 28 მარტი

მიტინგი მთავრობის სახლთან

28 მარტს პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" გამართა მიტინგი მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა თეიმურაზ ქორიძემ. მიტინგი დალოცა მამა გრიგოლმა. ეს მრავალათასიანი შეკრება მიეძღვნა მომავალ რეფერენდუმსა და საკრებულოების არჩევნებს, რომლებიც გაიმართება 31 მარტს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

— დღევანდელი მიტინგი ეძღვნება უაღრესად აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც დღეს ჩვენი ერის წინაშე დგას, — თქვა მან, — დღეს ჩვენი შეკრება ეძღვნება აგრეთვე რუსეთის სახალხო დეპუტატთა საგანგებო ყრილობას და მიტინგს მოსკოვის მანეჟის მოედანზე. დადგა გადამწყვეტი ჟამი, წყდება იმპერიის ბედი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნანატრი თავისუფლება მოახლოვდა. მაგრამ ცენტრი, რომელსაც არ სურს დათმოს თავისი დიქტატურა და გორბაჩოვის ხელისუფლება, არ ავლენენ რეალისტურ მიდგომას შექმნილი სიტუაციისადმი და ისევ ჯავშანტრანსპორტიორებისა და ტანკების არგუმენტი მოიშველიეს. ხომ ვიცით ისტორიიდან, რომ, როცა საქმე სამხედრო ძლიერებით ხელისუფლების თავდაცვაზე მიდგება, ის მთავრობა განწირულია დასაღუპავად. გვაოცებს, რატომ ვერ ისწავლეს ეს გამოცდილება კრემლის ხელმძღვანელებმა. ამ წუთში მოსკოვში მანეჟის მოედანზე განლაგებულია უდიდესი სამხედრო ტექნიკა. მაგრამ ეს ტექნიკა ვერ დაიცავს იმპერიას, თუნდაც მან მთელი მსოფლიოს ტექნიკა მოიხმოს საშველად. და თუ მოხდება ისე, რომ იგი მაინც შეძლებს გაიხანგრძლივოს არსებობა, მას დეკორატიული ხელისუფლება დარჩება, რეალური კი აუცილებლად გადავა თავისუფალი რესპუბლიკების ხელში.

ისტორიული ლოგიკაა: ყოველივე დრომოჭმული, რეაქციული, უგულებელყოფილი ხალხის მიერ, წარმავალია. დღეს დემოკრატიულ ხანაში, ცენტრი ვერავის გააკვირვებს თავისი ფსევდოდემოკრატიით. დღეს იგი ქმნის ისეთ ილუზიას, თითქოს დასავლეთს ერწმუნოს გორბაჩოვისეული დემოკრატიზმი და ე. წ. „პერესტროიკა". პირიქით, დასავლეთი დღეს რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან ამყარებს კონტაქტებს.

ამის ნათელი დადასტურებაა, აღინიშნა მიტინგზე, რომ 30 მარტს საქართველოში გვეწვევა ინგლისის ელჩი ოფიციალურ ვიზიტად. უკვე იყო საქართველოში შვეციის ელჩი, ჩვენთან ჩამოდის ამერიკის ექს-პრეზიდენტი ბატონი ნიქსონიც, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკურ პარტიას — ერთ-ერთ ძლიერ პარტიას ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოთი დაინტერესდნენ ამერიკის კონგრესი, სენატი. ყველაფერი ეს აღაშფოთებს კრემლს და იგი აძლიერებს აგენტურულ მოქმედებას.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველა იმპერია, რომელიც კი თავის დროზე დაპირისპირებია საქართველოს, დაინგრა, გაცამტვერდა. ასე მოუვა უკანასკნელ უბოროტეს იმპერიასაც და ჩვენი დამოუკიდებლობა აღდგება.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შეკრებილთ მოუწოდა, რომ 31 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, საკრებულოების კანდიდატებს.

ბატონმა თეიმურაზ ქორიძემ მიტინგის მონაწილეებს გააცნო საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც შეეხება რთულ საკითხებს, კერძოდ, ფასების ზრდის პრობლემებს და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს.

მიტინგზე განსაკუთრებული კმაყოფილებით აღინიშნა ყაზბეგში ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრისა და მათ მიერ ერთობლივი ოქმის ხელმოწერის ისტორიული მნიშვნელობა.

წაიკითხეს დეპეშის ტექსტი, რომელიც გაეგზავნა მოსკოვში რუსეთის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობას და ბატონ ბორის ელცინს. დეპეშაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილენი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჭეშმარიტად დემოკრატიულ რუსეთს. მიტინგზე ერთხმად მიიღეს ასევე დეპეშა ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი, რომელთა ბრძოლასაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ასევე მხურვალედ უჭერს მხარს ქართველი ერი.

მიტინგზე გამოვიდნენ ბატონები აკაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე, დილარ ხაბულიანი, ინგუშეთის დელეგაციის წარმომადგენელი, ყაზახეთში მცხოვრები ინგუში ხალხის წარმომადგენელი, აგრეთვე თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამაჩაბლოში ამ დღეებში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების ხსოვნას.

თბილისში გამართულმა მიტინგმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართველი ერის მზადყოფნა — თანადგომა გამოუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს — ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას და 31 მარტს ერთსულოვნად მისცეს ხმა თავისუფალ საქართველოს, საკრებულოების ღირსეულ კანდიდატებს.

მერი ბაბრიაძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 86 (პრიმა 1), 242 (პრიმა 3), 242 (პრიმა 4) და 242 (პრიმა 5) მუხლები:

„მუხლი 86 (პრიმა 1). საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საჰაერო ხომალდის მართვისას იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკები, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სახის სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საჰაერო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასა ან გაშვებასთან და რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედება, რამაც არ გამოიწვია, მაგრამ წინასწარ შეცნობით ქმნიდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე".

„მუხლი 242 (პრიმა 3). სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება

სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრახ ბლოკირება დაბრკოლებების, საგუშაგოების მოწყობის გზით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია რკინიგზის, საჰაერო, წყლის, საავტომობილო და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება,—

ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან დაკავშირებულია ტვირთის, ბარგის უკანონო გასინჯვასთან ან დოკუმენტების შემოწმებასთან,—

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევები, ან სხვა მძიმე შედეგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

„მუხლი 242 (პრიმა 4). ტრანსპორტის მუშაკის იძულება

რკინიგზის, საჰაერო, წყლის, საავტომობილო ან სხვა სახის ტრანსპორტის მუშაკის იძულება არ შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ამ მუშაკის ან მის ახლო ნათესავთა მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების, ან ქონების განადგურების მუქარით —

ისჯება ჯარიმით ხუთას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

„მუხლი 242 (პრიმა 5). ტელერადიომაუწყებლობისა და კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ბლოკირება

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის და საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელევიზიო და რადიოპროგრამების მომზადებისა და მაუწყებლობის ობიექტების, კავშირგაბმულობის რაიონული და საქალაქო კვანძების, ცენტრალური ტელეგრაფის ბლოკირება დაბრკოლებების შექმნით, პიკეტირებით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია ამ ობიექტებისა და დაწესებულებათა ნორმალური მუშაობის შეფერხება —

ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე".

2. მუხლი 242(პრიმა 2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 242 (პრიმა 2) რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება

რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება ან ხელში ჩაგდება, აგრეთვე ვაგზალის, აეროდრომის, ნავსადგურის ან სხვა სატრანსპორტო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელში ჩაგდება, აგრეთვე ტვირთის ხელში ჩაგდება მისი გატაცების მიზნის გარეშე.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, აგრეთვე ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, ან მოქმედება, რამაც გამოიწვია ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სატრანსპორტო საშუალების ავარია, ან სხვა მძიმე შედეგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მან გამოიწვია ერთი ან მეტი პირის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით".

3. მე-8 (პრიმა 1) მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცება" შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება".

4. 44-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის„ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის".

5. 54 (პრიმა 1) მუხლის პირველი ნაწილის მე-3 პუნქტში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის" შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის".

6. 55-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-2 პუნქტში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის" შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის".

7. 20-6-ე მუხლში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცება" შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება".

II. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1 მუხ. II (126-ე მუხლის III ნაწილში ციფრს „86" დაემატოს ციფრი „86 (პრიმა 1)", ხოლო ციფრი „242 (პრიმა 2)" შეიცვალოს ციფრებით: „242 (პრიმა 2) —242 (პრიმა 5)".

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. № 12, მუხ. 420):

1. დაემატოს შემდეგი შინაარსის III (პრიმა 1) მუხლი:

„მუხლი III (პრიმა 1). საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საჰაერო ხომალდების ფრენისას, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სახის სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საჰაერო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასა ან გაშვებასთან, — გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ათიდან ას მანეთამდე იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევით, რომელიც სამართალდარღვევის იარაღი იყო, ან უამისოდ, ხოლო თანამდებობის პირებისა — ოციდან ორას მანეთამდე".

2. 213-ე მუხლის I ნაწილში სიტყვები „109-III მუხლებით" შეიცვალოს სიტყვებით „109-III (პრიმა 1) მუხლებით", ხოლო მეშვიდე ნაწილს ციფრის „III" შემდეგ დაემატოს ციფრი „III (პრიმა 1)".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი 1991 წლის 20 მარტი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ

თავი 1
მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

მუხლი 1. არჩევნების დანიშვნის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები ადგენენ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით. რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 2. არჩევნების ორგანიზაცია

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ;

გ) განსაზღვრავს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მიხედვით, ადგენს და ამტკიცებს არჩეულ მსაჯულთა სიას;

დ) აძლევს არჩეულ მსაჯულებს მსაჯულის მოწმობას;

ე) აქვეყნებს ცნობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. არჩევნების ჩატარების წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნები ტარდება მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა ასარჩევად კრებებს იწვევენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

კრებები ტარდება შრომით კოლექტივებში, დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლები არ არის. თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომით კოლექტივებთან, სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ კრებამდე არა უგვიანეს სამი დღისა.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა კანდიდატურებს ასახელებენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

კრების ყოველ დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევა ხდება კენჭისყრით თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულებად არჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, ანდა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებაზე ირჩევენ პრეზიდიუმს და ადგენენ ოქმს.

(დასასრული მე-8 გვ.).

„...ხმას ვაძლევ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!"

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე რესპუბლიკური რეფერენდუმი, როგორც ვიცით, დანიშნულია 31 მარტისათვის. მაგრამ უკვე 25 მარტს პირველმა თბილისელებმა დაუჭირეს მხარი თავისუფალ საქართველოს. ეს შესაძლებელი გახდა თავისუფლების მოედანზე ცეკავშირის შენობაში გახსნილი თბილისის ტერიტორიული საარჩევნო უბნის წყალობით. აქ მოვიდნენ ისინი, ვინც სხვადასხვა მიზეზისა გამო ვერ იქნება 31 მარტს საქართველოს დედაქალაქში, მაგრამ სურს მონაწილეობა რეფერენდუმში.

...თამარ დარახველიძე პენსიონერია. იგი ამ დღეებში რაჭაში ნათესავებთან წასვლას აპირებს.

— არ შემიძლია არ მივცე ხმა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას, — თქვა მან. — სწორედ ამიტომ წინასწარ მოვეხსენი აღრიცხვიდან ჩემს საარჩევნო უბანში ნაძალადევში და ხმა მივეცი აქ.

აქ მოსულთა შორის ვნახეთ ცნობილი სპორტსმენი, მძლეოსანი მაია აზარაშვილი. იგი მეუღლესთან და მწვრთნელთან ზურაბ მემარნიშვილთან ერთად 28 მარტს საასპარეზოდ მიემგზავრება სენეგალში.

— სტარტები მელის სამშობლოდან ათასობით კილომეტრზე, — გვითხრა მაიამ. — მაგრამ თან მიმყვება ფიქრები სამშობლოზე, მის დამოუკიდებელ მომავალზე, როცა, მწამს, ყველა მისი მოქალაქისთვის გარანტირებული იქნება ბედნიერების უფლება.

ინჟინერი სერგო დოლგოვი კი იძულებულია გაემგზავროს სხვა მიზეზის გამო — მას ახლობელი ადამიანი გარდაეცვალა.

— გამგზავრების წინ მოსამზადებლად მცირე დრო დამრჩა. მაგრამ მინდა მხარი დავუჭირო თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს. ეს ჩემი სამშობლოა, აქ დავიბადე, გავიზარდე, შევიძინე პროფესია, შევქმენი ოჯახი, გავზარდე ორი შვილი.

თბილისის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში მოქალაქეთა ნაკადი სულ უფრო მატულობს.

— ნაშუადღევს, — თქვა კომისიის თავმჯდომარემ ნინო დოლიძემ, — ხმა მისცა უკვე დაახლოებით ათას ხუთასმა თბილისელმა. იმ მოქალაქეებს, რომლებიც მივლინებაში აპირებენ წასვლას ან ქალაქიდან ამა თუ იმ მიზეზის გამო მიდიან, შეუძლიათ მოვიდნენ აქ დილის 10 საათიდან 20 საათამდე რეფერენდუმისწინა სხვა დღეებშიც.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ.

სურათზე: თბილისის ტერიტორიულ საარჩევნო უბანში.
ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

რეფერენდუმი

31 მარტს დანიშნული რეფერენდუმი უპრეცედენტო მოვლენა გახდება ჩვენი ხალხის ისტორიაში. იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა „მრგვალი მაგიდა“, რომელიც გაიმართა საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქციის მონაწილეობით. საუბარი შეეხება ობიექტური ეროვნული პოლიტიკური ისტორიის კვლევის ინსტიტუტის დაფუძნებას, ცენტრის მიერ ჩატარებული ფსევდორეფერენდუმის არსის გამოვლინებას, ავტონომიებთან დაკავშირებით აქამდე უცნობი საარქივო მასალებიდან გამომდინარე დასკვნებს და რეფერენდუმთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა აქტუალურ პრობლემებს. „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის დირექტორმა გერმანე ფაცაციამ, დირექტორის მოადგილემ არქივის დარგში ივანე შენგელაიამ, სექტორის გამგემ ბიჭი მარუაშვილმა, პროფესორმა ლევან თოიძემ და დოცენტმა გელა საითიძემ.

გერმანე ფაცაცია: ჩვენი დღევანდელი „მრგვალი მაგიდა“ რიგით პირველია უკვე დამკვიდრებული მრავალპარტიულობის ვითარებაში. [illegible] და მეცნიერული კვლევის ობიექტურობა, რომლითაც, სამწუხაროდ, აქამდე არ ვიყავით განებივრებულნი, რაც, ცხადია, მონოპარტიულობის პირობებში შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი იყო, დღეს უბრალოდ გვავალდებულებს აწ მომხდარ და ნანატრ პრეცედენტს მრავალი ასპექტით შევხედოთ, წინარე თაობათა მიერ აქამდე ჩადენილი ცოდო-მადლი ჭეშმარიტ ქრისტიანულ კრიტერიუმებში მოვაქციოთ, ისეთი ისტორია დავწეროთ, მიუკერძოებელ ჟამთააღმწერელს რომ ეკადრება და პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის კვალობაზე ხელახლა გადაწერა რომ არ დასჭირდება. ამის ყველაზე უტყუარი გარანტი გასული წლის 28 ოქტომბერს ჩვენი ჭირთმთმენი ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანია, არჩევანი, რომლის შეუქცევადობა დღეს უკვე ისტორიული კანონზომიერებაა და მისი მნიშვნელობის ზნეობრივ-პოლიტიკურ, საქართველოს პერსპექტივისათვის აუცილებელი კონტექსტის წარმოჩენას ჩვენზე თავისუფალი და ბედნიერი მკვლევარების არაერთი თაობის ძალისხმევა დასჭირდება.

აქ, ჩვენი შეხვედრის ჟამს, სხვა რომ არა ვთქვათ, ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უსათუოდ უნდა მივაპყროთ ჩვენი ხალხის, ჩვენი მკითხველის ყურადღება: ჩვენი ინსტიტუტი (ყოფილი „იმელი“) მრავალპარტიული (გნებავთ ზეპარტიული) კვლევისათვის ადრევე განემზადა და ამის დასტური იყოს ის, რომ კომპარტიის დღევანდელი ცენტრალური კომიტეტი (რომლის ფინანსურ დაქვემდებარებაში იმყოფება დღემდე ინსტიტუტი) უყოყმანოდ დაეთანხმა ინსტიტუტის გარდაქმნას საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტად და ამჟამად არც საკავშირო „იმელის“ ფილიალი ვართ, თუმცა ჩვენ ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ მრავალპარტიული ისტორიის, პოლიტიკური მოძრაობის მიუკერძოებელი კვლევა არ შეიძლება იყოს ერთი რომელიმე პარტიის (თუნდაც, მდიდარი პარტიის) ქვემდებარე. ამგვარი კვლევა უნდა დაექვემდებაროს მრავალპარტიულ უზენაეს საბჭოს, ხოლო საკუთრივ ინსტიტუტი უნდა იყოს აბსოლუტურად დეპარტიზებული დაწესებულება, რამაც უნდა გამორიცხოს მეცნიერულ კვლევაში ამა თუ იმ პარტიის პოზიციის პრიმატი. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა პოლიტიკის გაეროვნულება, მხოლოდ ამ გზით მოხერხდება ეროვნულ-პოლიტიკურ თეორიაში გაღწევა.

ამ მიმართულებით განუზომელ ღირებულებას იძენს ჩვენს ინსტიტუტში არსებული პარტიული არქივი, რომელიც ინსტიტუტის დაქვემდებარების აუცილებელი შეცვლის კვალობაზე, უნდა იქცეს საერთო-პარტიულ არქივად. ყოველ შემთხვევაში, უკვე აუცილებლობას წარმოადგენს ხელთ გვაჩნდეს იმ პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლებიც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდნენ და, მიუხედავად იმისა, გადალახეს თუ არა არჩევნების კანონით გათვალისწინებული ოთხპროცენტიანი ბარიერი, იბრძოდნენ მაინც უზენაეს საბჭოში მოსახვედრად. ხოლო რაც შეეხება ჩვენს პარტიულ არქივში დაცულ მილიონამდე საქმეს, მისი ადეკვატური და ობიექტური შესწავლის გარეშე, 28 ოქტომბერს გაკეთებული არჩევანის ხორცშესხმა ერთობ გაძნელდება და გართულდება.

ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მუზეუმის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების სწრაფ გაცნობას ხალხისათვის ვიზუალურ-ილუსტრაციული მეთოდების გამოყენებით და რაც მას გადააქცევს ეროვნულ-პოლიტიკური იდეების გავრცელებისა და დანერგვის მძლავრ კერად.

მოკლედ, ყველაზე უპრიანად გვესახება უზენაეს საბჭოსთან ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის ისტორიისა და თეორიის ცენტრის დამკვიდრება ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე, ცენტრისა, რომელშიც იქნებოდა, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება მრავალპარტიული ეროვნულ-პოლიტოლოგიური პროფილით და, მეორე მხრივ, ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის მუზეუმი.

ჩვენ, ცხადია, იმას არ ვამბობთ, რომ ამჟამად ინსტიტუტში არსებული საკადრო კორპუსით ყველა პრობლემას გავართმევთ თავს, მაგრამ მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის ქსოვილში ჩვენი ინსტიტუტის მოქცევა ამ სირთულესაც თანდათანობით მოხსნის კადრების გადახალისებისა და შევსების მეშვეობით.

ერთი უმთავრესი და ჭეშმარიტად ისტორიული საკითხის მრავალასპექტიანი შესწავლა კი ყველას ახლავე გვმართებს — ეს საკითხი გახლავთ 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმი, რომლის ისტორიული, პოლიტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მართლაც საეტაპოა.

ბიჭი მარუაშვილი: ორიოდე სიტყვით მინდა გამოვეხმაურო ბატონი გერმანეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა, მართლაც, დავწეროთ ისეთი ისტორია, მიუკერძოებელ ჟამთააღმწერელს რომ ეკადრება. აქ სავსებით მართალია ბატონი გერმანე — ჩვენი ისტორია ძალზე სავალალო მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ისტორია, კერძოდ კი საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორია, ტოტალიტარულ ხანაში მახინჯდებოდა, არ იწერებოდა სწორი მეთოდოლოგიის მომარჯვებით. ეს ისტორია გაცალმხრივებული იყო და, ბოდიშს მოვითხოვ შედარებისათვის, მაგრამ უფრო ზემდგომი პარტიული ფუნქციონერის ხელზე მოსამსახურის თვისებებით ხასიათდებოდა.

ჩვენი ისტორია რომ გავაცოცხლოთ, უპირველესი საზრუნავი იქნება დასისტემდეს და აღდგეს ის საისტორიო მასალები, სამეცნიერო ბრუნვაში რომ არ არის შემოსული. დროა ხელშეუხებლობისა და აკრძალვის ტაბუ აეხსნას ზოგიერთ არქივსა თუ დოკუმენტთა საცავს, იგი საჯარო და ხელმისაწვდომი გახდეს და, ვფიქრობ, მხოლოდ ასე დავიცავთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას სუბიექტივიზმისა და გაცალმხრივებისაგან, აღვადგენთ მას.

ასე რომ, სუბიექტივიზმის მძიმე სენით დაავადების გამო თითქმის შეუსწავლელია საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამუქებაზე, სადაც საქმე ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს, საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი არსებობით მხოლოდ იმისაკენ მიილტვოდა, როგორმე „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმურის“ იმპერიული უღელი მოერგო და, თურმე, ეს იყო საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების უზენაესი და ყოვლად სრული საფეხური.

ვაი, რომ ამ თეზისს ასახავდა ჩვენი ისტორიაც.

ჩვენს განახლებულ ინსტიტუტს ძალზე სერიოზული მუშაობა დასჭირდება, რომ უკუაგდოს საისტორიო ცნობიერებაში გამეფებული ტრაფარეტები, ერთხელ აღიარებული, თითქოს უცვლელი შეფასებები და საღი გონება მივაპყროთ იმპერიის იდეოლოგიამდე აყვანილი ცრუ ინტერნაციონალიზმის კლანჭებიდან თავის დახსნას.

ეს საშური საქმეა. არქივსაცავებში ცოდვა-ბრალ შეუმჩნევია შემონახული ისტორიული დოკუმენტები, რომელთაც ან დრო მოსპობს ან გარემოებანი. ეს რომ არ მოხდეს, უნდა შევძლოთ მათი დასისტემება, ხელუხლებლად გამოქვეყნება, რასაკვირველია, სათანადო ისტორიოგრაფიული კომენტარით. ეს დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს, როგორც საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მასალები.

ცხადია, ყოველივე ამას სათანადო დროც სჭირდება, ჩვენთვის კი აუცილებელია ისტორია დღესვე ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში. ამისათვის უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი და საზოგადოებას უნდა ვაუწყო, რომ მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ჩვენი ინსტიტუტის საინიციატივო ჯგუფის თაოსნობას მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და რეგისტრაციაში გაატარა ახალი ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“. ეს იქნება ახალი მიმართულების, დამოუკიდებელი საისტორიო ჟურნალი, რომელშიც გამოქვეყნდება სადღეისო თვალსაზრისით აუცილებელი დოკუმენტები, აგრეთვე ანალიზური სტატიები, რომლებიც ობიექტურად, მიუკერძოებლად გააშუქებს იმ მოვლენებსაც, ამ დოკუმენტების შექმნა რომ განაპირობა.

ეს იქნება აგრეთვე მეცნიერული შეხედულებების საჯარო ასპარეზიცა, რომელიც წინ უნდა უძღვოდეს საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის შექმნას, ამიტომ ჟურნალი არ მოერიდება მძაფრ პოლემიკას, დისკუსიებს, ადგილს დაუთმობს თვალსაზრისთა სხვადასხვაობას. ჟურნალი შეეცდება შეძლებისდაგვარად გამოაქვეყნოს ის მასალებიც, რომლებიც დროთა ვითარებამ ამოაგდო ჩვენი საისტორიო თვალთახედვიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტა.

ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ ადგილს დაუთმობს ეპისტოლარულ, მემუარულ მემკვიდრეობას, გამოაქვეყნებს დიქტოფონზე ჩაწერილ ტექსტებს, რომლებიც საქართველოდან ჟამთა სიავით დევნილ ჩვენს თანამემამულეებს ეკუთვნით. უნდა გითხრათ ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი ჟურნალის რედაქციამ უკვე მოიპოვა.

მაშ ასე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი საზოგადოებრიობის, მეცნიერების ყურადღება მივაპყრო ახალ ჟურნალს — „საისტორიო ვერტიკალებს“!

ახლა, თუ ნებას დამრთავთ, ჩემს აზრს გამოვთქვამ ბატონ გერმანეს მიერ აღძრულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ამას წინათ ცენტრალურ პრესაში ცენტრისტულ-იმპერიული ზრახვებით დატვირთული მასალებიდან ყურადღება მიიპყრო მოკლე ინფორმაციამ, რომელშიც გამიზნულად წარმოჩინდა თითქმის ნატურალიზმამდე დაყვანილი ახლახან კრემლის მიერ მოწყობილი რეფერენდუმის ნამდვილი არსი.

მოსკოვში, „მრგვალ მაგიდასთან“ შეკრებილმა ორატორებმა განაცხადეს: ყველა ზომა უნდა მივიღოთ „დერჟავას“ გადასარჩენად, ამისათვის სულ არ არის საჭირო რეფერენდუმი, საჭიროა მხოლოდ რუსეთის იმპერია დავყოთ ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ მხარეებად, რა საჭიროა ეს რესპუბლიკები, ამდენი თავსატეხი რომ გააჩინეს, ბოლოსდაბოლოს დროა შევქმნათ ერთიანი უნიტარული სახელმწიფო.

ვინ იყვნენ ამ „მრგვალი მაგიდის“ მონაწილენი?

„სსრ კავშირის დამოუკიდებელ მეცნიერთა ლიგის“ და სამხედრო მეცნიერების წარმომადგენლები!..

სამხედრო მეცნიერებმა ერთსულოვნად დაასკვნეს — „ნაციონალურ ბინებში შეკეტვა“ გარდუვალად მიგვიყვანს ერთიანი სახელმწიფოს დაღუპვამდე და მეცნიერების სრულ დეგრადაციამდე.

ცენტრმა არ გაიზიარა ამ „მეცნიერთა“ რეკომენდაცია და როგორც იცით, რეფერენდუმი მოაწყო, მაგრამ ამ ვაი-რეფერენდუმმა კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩინა იმპერიული აზროვნების აბსურდულობა: თითქოს ფედერაციაში ხელახალი შესვლით რესპუბლიკები თვისებრივად ახალ სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდნენ.

ცენტრს ჯიუტად არ უნდა დაიჯეროს, რომ იმპერია იმიტომ კი არ იშლება, „ფედერაცია“ აქამდე რომ არ განვაახლეთ, იმპერია იშლება ლოგიკური კრახის გამო, რომელსაც დღეს ერთმნიშვნელოვანი სახელი შეიძლება მოეძებნოს — ეს არის სრული ქაოსი. და უნდა მოგახსენოთ, რომ ძალდატანებით გაყალბებული რეფერენდუმით ამ პროცესის შეჩერება ერთი გონებასუსტის შეგონებას ჰგავს: საკუთარ ფეხზე მიმაბით, რომ არსად გავიქცეო.

დღეს იმპერიის დიდ ადმინისტრაციულ სახლში სრული ქაოსია. მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვა აზანზარებს ამ შენობას და საცაა ძირს დასცემს. მაღაროელები კი მთავრობის „ბრძნული“ დასკვნით, თურმე იმიტომ გაიფიცნენ, რომ პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდათ!

აი, როგორ კავშირში სურს შეიტყუოს თავისუფლების გზაზე დამდგარი რესპუბლიკები ცენტრს.

რესპუბლიკები კი უფრო და უფრო ჯიუტობენ და მწვავედ აყენებენ საკითხს — ერთი ცენტრალური გაზეთის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — „რატომ შევძვრეთ ხელახლა ჭიანჭველების ბუდეში?“, ან „გადავიფაროთ თუ არა ერთიანი ნაჭრის საბანი?“, როგორც ამას ერთი ცნობილი რუსი მწერალი ოცნებობდა, ოღონდ ნაჭრებად რესპუბლიკები წარმოედგინა!

რა სამწუხაროა, რომ ეს ცნობილი მეცნიერები და მწერლები დიდი ილიას „მგზავრის წერილებში“ მოხსენებული რუსი უნტეროფიცრის მოსაზრებულობას ვერ გასცდნენ, თორემ იმას მაინც მიხვდებოდნენ, რომ ცოცხალი ორგანიზმების ერთი-მეორეზე ნაჭრებივით მიკერება არ შეიძლება, ამას შეიძლება მხოლოდ ტრაგედია მოჰყვეს.

რა უნდა დავუპირისპიროთ ამ აგონიის ფილოსოფიას?

საქართველოს ჭეშმარიტი რეფერენდუმი — ხალხის სურვილისა და ნების გამოვლენა: ქართველი ხალხი არ უნდა იყოს არც სხვისი „საბნის ნაჭერი“ და არც ჭიანჭველების ბუდეში შეგდებული უცხო სხეული.

ეს რეფერენდუმი საქართველოსათვის საყოველთაო იქნება და მის ყოველ რეგიონს მოიცავს.

ლევან თოიძე: რეფერენდუმი, ბუნებრივია, ჩატარდება აფხაზეთსა და შიდა ქართლშიც, სადაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ერთობ უარყოფით ემოციებს იწვევს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვით ხსენებაც კი. ამის მთავარი მიზეზი, ჩემის ღრმა რწმენით, ის არის, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობას კარგად არა აქვს გაცნობიერებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ისტორია. გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ამ პრობლემის ღრმა და ობიექტური კვლევა, მისი საფუძვლიანად შესწავლა სიმართლისა და მხოლოდ სიმართლის დადგენის მიზნით, სიმართლისა, რომელსაც დაგვიჯერებს ქართველიც, აფხაზიც, ოსიც, რუსიც და სხვ. დღეს თუ არ გვიჯერებენ, ეს რამდენადმე ჩვენი (ისტორიკოსების) ბრალიც არის. ჩვენი ისტორიოგრაფია გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო საკითხს, უმთავრესად, ცალმხრივად აშუქებდა, რითაც სცოდავდა ისტორიის და არა მარტო ისტორიის წინაშე. ჩვენ ხომ 1918-1920 წლებში ქართველებსა და არაქართველებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის კუთხითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის კრიტიკის ნიშნით განვიხილავდით (იყო, რასაკვირველია, გამონაკლისიც), ე. წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ გამოსვლებში, მაგალითად, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ოსთა ეროვნული უფლებების გაფართოების, მათი ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის ბრძოლას ვხედავდით. ყურადღება არ ექცეოდა იმას, რომ აჯანყებულთა მესვეურები ფაქტობრივად საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის საქართველოდან ჩამოცილებას მოითხოვდნენ და ასეთ საფრთხეს რეალურადაც ქმნიდნენ. წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა საქართველო, თუ მასში მოსახლე სხვა ეროვნული უმცირესობებიც მსგავს მოთხოვნებს წამოაყენებდნენ და შეასრულებდნენ კიდეც. სხვას ეს, შეიძლება, ეროვნული საკითხის დემოკრატიულ გადაწყვეტად, ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალურ განხორციელებად მიეჩნია, მაგრამ საქართველოსათვის ეს დიდი უსამართლობა და ფაქტობრივად დაღუპვა იქნებოდა. უსამართლობა იქნებოდა იმიტომ, რომ საქართველოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიწები კი არ დაუპყრია, სხვისთვის კი არ წაურთმევია, არამედ, სხვადასხვა დროს თვით ეროვნული უმცირესობები დასახლდნენ ამ ისტორიულ ქართულ მიწებზე, რაც რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით იყო გაპირობებული.

აფხაზეთისა და აფხაზების პრობლემა, ცხადია, სხვა კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან აფხაზები საქართველოს უძველესი ბინადარნი არიან.

არაქართველებით დასახლებული ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილება და სხვა სახელმწიფოებთან შეერთება დანაშაული იქნებოდა და არა ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალური რეალიზაცია. სწორედ ეს მიიყვანდა საქართველოს დაღუპვამდე.

ამიტომ ეროვნულ უმცირესობათაგან არავინ უნდა იკადროს, თუ გნებავთ, არავინ უნდა გაბედოს ქართული მიწების ბედის ცალმხრივი, თავისი სურვილისდამიხედვით გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფოებთან მათი შეერთების მცდელობა. ეს უნდა იყოს საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობასთან ქართველი ხალხის ურთიერთობის ამოსავალი წერტილი. ეროვნულ უმცირესობათა მხრივ ქართული მიწების სხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემის მოთხოვნის გამართლება არ შეიძლება არც კლასობრივ-პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც მორალურ-ზნეობრივი (განსაკუთრებით, მადლისა და ამაგის დაფასების) თვალსაზრისით

ეროვნულმა უმცირესობამ, ქართული ენისა და კულტურისადმი პატივისცემასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ამაში მას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველმა ხალხმა, მისმა მთავრობამ. ეროვნულ უმცირესობებს საქართველოში მუდამ ჰქონდათ ნორმალური ეროვნულ-კულტურული განვითარების სრული გარანტია და უნდა დარჩეთ კიდეც. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა წარმომადგენლები ქართველ ხალხში თავიანთ მფარველსა და ქომაგს უნდა ხედავდნენ. ქართველ ხალხს ამ მხრივ, ალბათ, ნაკლებად მოეძებნება სასაყვედურო. ავიღოთ თუნდაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი, რომელსაც ჩვენი ისტორიოგრაფია ეროვნულ უმცირესობათადმი ქართველი ხალხისა და მისი მთავრობის დამოკიდებულების თვალსაზრისით ერთობ ოდიოზურად წარმოაჩენდა. მაგალითად, ე. წ. სამხრეთ ოსეთის აჯანყებების ჩაქრობა ამიერკავკასიის კომისარიატსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თითქმის დანაშაულად ეთვლებოდა.

თუ ჩვენ, ქართველი და ოსი ისტორიკოსები, სხვა დაინტერესებული მკვლევარები ობიექტურად შევისწავლით ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ოსები ჩვენში ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ, არავითარ დისკრიმინაციას არ განიცდიდნენ. მათ გარანტირებული ჰქონდათ ნორმალური ეროვნულ-კულტურული განვითარების ყველა პირობა. ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 3 წლის მანძილზე შიდა ქართლში მცხოვრები ოსები ბოლშევიკების მეთაურობით სამჯერ აჯანყდნენ. მათი მთავარი მიზანი იყო კანონიერი გზით არჩეული მთავრობის დამხობა, საქართველოდან შიდა ქართლის ჩამოცილება და რუსეთთან შეერთება. ცხადია, ქართველმა ხალხმა, მისმა მთავრობამ, რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ძირშივე აღკვეთეს იმდროინდელ ოს ექსტრემისტთა ეს დანაშაულებრივი მცდელობა. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხი არც ერთხელ არ გამოსულა შეიარაღებული თავდასხმების პირველდამწყების როლში. ის მხოლოდ მაშინ მიმართავდა გადამწყვეტ ზომებს, როცა ოსი ექსტრემისტები საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოში მცხოვრებ ოსებს არ უნდა გაუჭირდეთ იმის გაცნობიერება, რომ სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“, როგორც გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტერმინი პირობითია. საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს და არც არასოდეს არსებობდა ოსეთი (არც სამხრეთი, არც არანაირი), ისევე როგორც ოსეთში, ნამდვილ ისტორიულ ოსეთში, რომელსაც დღეს ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ, არ შეიძლება არსებობდეს საქართველო, ისევე როგორც რუსეთში არ შეიძლება არსებობდეს, ვთქვათ, ჩინეთი ან იაპონია (სამხრეთი თუ აღმოსავლეთი).

საქართველოში არსებობს ოსებით დასახლებული ქართული მიწები, რომლებიც მათ საუკუნეების მანძილზე დაიკავეს. ამ მიწებს ქართველი ხალხი თავისი სხეულიდან არასოდეს არ მოიკვეთს. ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთ თანადგომაში, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიან ბრძოლაშია. ამას კი უთუოდ შეძლებს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგენილი საქართველოს სუვერენული სახელმწიფო.

კორესპონდენტი: ბატონო ლევან! 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ გარკვეული პრეტენზიები აქვს ზოგიერთ აფხაზ ისტორიკოსს და პოლიტიკურ მოღვაწეს. მათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ 1918 წელს მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია. რას იტყოდით ამის თაობაზე?

ლევან თოიძე: სამწუხაროდ, ეს არასწორი თეზისი ამ ბოლო ხანს საკმაოდ ფართოდ ვრცელდება აფხაზეთსა და მის ფარგლებს გარეთაც. მასზე ლაპარაკია აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის მიმართვაში, რომელიც საკავშირო ორგანოებს გაეგზავნა 1988 წლის 17 ივნისს. საქართველოს მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შესახებ ლაპარაკობდა მომხსენებელი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე. ეს აზრია გატარებული ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსის ნაშრომებში. კარგად გვესმის, რომ ამ პრობლემის ღრმად შესწავლასა და ობიექტურ გაშუქებას არამარტო მეცნიერულ-შემეცნებითი, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების, სამართალმცოდნეების, სხვა დაინტერესებულ მკვლევართა გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ამ საკითხის ღრმა, მეცნიერული დამუშავება. საჭიროა დიალოგი პრესაში, ტელევიზიით, სამეცნიერო სესიების ჩატარება. იმისათვის, რომ მეცნიერულმა დავამ, დისკუსიამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, აუცილებელია მისმა მონაწილეებმა საქმით დაამტკიცონ, რომ ეძიებენ მხოლოდ სიმართლეს, აქვთ მხოლოდ ერთი სურვილი — თავადაც გაერკვნენ და სხვებიც გაარკვიონ ისტორიულ სინამდვილეში. ყოველივე ეს, ცხადია, მომავლის საქმეა. ამ საკითხზე უფრო ფართო მსჯელობაც აფხაზ კოლეგებთან ჩვენი სამომავლო საუბრისა თუ დიალოგის ამოცანად მივიჩნიოთ. ახლა კი მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს:

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა მარტო ქართველი ხალხისთვის არ გამოცხადებულა. ქართველი ხალხის დიდ სიხარულს ჩვენი აფხაზი მოძმეებიც გულწრფელად იზიარებდნენ მაშინ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ბევრ სხვა არაქართველთან ერთად ხელს აწერდნენ უთვალსაჩინოესი აფხაზი მოღვაწეები ვარლამ შერვაშიძე და არზაყან ემუხვარი.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პირველივე მუხლში ვკითხულობთ: „ამიერიდან **საქართველოს ხალხი** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) სუვერენულ უფლებათა მატარებელი და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ქართველ ხალხზე, არამედ „საქართველოს ხალხზე“, ე. ი. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხზე. იმავე აქტის მე-5 მუხლში კი ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“. აქედან აშკარად ჩანს, რომ 1918 წლის 26 მაისს შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველსავე ოფიციალურ აქტში განსაზღვრულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი არსი, მისი კონცეფცია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს, „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი)“ მიანიჭა „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.

შეიძლება გვითხრან, რომ ეს მხოლოდ კონსტიტუციაში ჩაწერეს ასე, თორემ პრაქტიკულად კონსტიტუციას არავინ იცავდა და აფხაზეთი სინამდვილეში იჩაგრებოდაო. კონსტიტუციის დაცვისათვის მართლაც აღარ დარჩა დრო დამოუკიდებელ საქართველოს, რადგანაც იგი 25 თებერვლამდე, ე. ი. საქართველოს ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღეს. რაც შეეხება აფხაზეთის მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ იგი მაშინ საკმაოდ ფართო ავტონომიით სარგებლობდა.

გავიხსენოთ რამდენიმე ისტორიული ფაქტი. 1918 წლის 9 თებერვალს, ე. ი მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული დამოუკიდებელ რესპუბლიკად, თბილისში გაიმართა აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება. მიღწეულ იქნა შეთანხმება (დეტალებზე არ ვისაუბრებთ), რომლის ძალითაც აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ენიჭებოდა ფართო ავტონომია. ამასთან საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აიღო ვალდებულება, რომ იგი დაეხმარებოდა აფხაზეთს ისტორიული საზღვრების აღდგენაში, კერძოდ, აფხაზეთს შემოუმტკიცებდნენ გაგრის ოლქს, რომელიც 1904 წელს მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს დაუქვემდებარა. 1918 წლის 8 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ნათქვამია, რომ შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა აფხაზეთში ეკუთვნის აფხაზთა სახალხო საბჭოს. ე. ი. აფხაზეთის ავტონომია საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაადასტურა თავისი დაარსების პირველივე დღეებში, სულ რაღაც 10-15 დღეში. დამოუკიდებელ საქართველოს სხვანაირად არ შეეძლო. საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულად მიიჩნევდა აფხაზეთს თვით აფხაზთა სახალხო საბჭო. კონსტანტინოპოლის საერთაშორისო კონფერენციაზე აფხაზეთის წარმომადგენლობის საკითხის განხილვისას აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ა. შერვაშიძემ განაცხადა:

«Абхазии как государства нет, а потому самостоятельной дипломатической миссии не может быть, но мы можем послать представителя нашего для усиления грузинской дипломатической миссии в качестве советника».

(აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 39, საქ. 3, ფურც. 21).

1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის შესვლა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მოხსენებით ბარათში, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა, ამასთან დაკავშირებით ნათქვამია:

«...Этим актом отныне положено прочное основание свободной жизни народов Абхазии в пределах свободной Грузии. Отныне можем смело заявить перед лицом всего света, что демократия Грузии осуществила то, чего не могли до сих пор осуществить даже некоторые сильные государства». (იქვე, ფურც. 31).

მართალია, აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციური წესით გაფორმება დაგვიანდა, მაგრამ ამის მიზეზი თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დაგვიანებით მიღება იყო და არა სხვა რამ. უცილობელი ფაქტია, რომ აფხაზეთი კონსტიტუციის მიღებამდე ავტონომიის უფლებებით სარგებლობდა.

ახლა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შევაფასოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთში 1918 წელს განხორციელებული აქცია. რა იყო ეს, საქართველოსა და მასში შემავალი ავტონომიური ერთეულის — აფხაზეთის ისტორიული საზღვრების (ტერიტორიის) მთლიანობის დაცვა თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და ანექსია, რის დამტკიცებასაც ცდილობს დღეს ზოგიერთი ჩვენი აფხაზი კოლეგა.

ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აფხაზეთში 1918 წელს მეტად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ეს გაპირობებული იყო ბოლშევიკური და პროთურქული ძალების გააქტიურებით. სოხუმის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ საამისო ძალები მათ არ გააჩნდათ და დახმარებისათვის ეკატერინოდარის (ახლა კრასნოდარის) ბოლშევიკებს მიმართეს. ამასთან თხოვდნენ შეეერთებინათ სოხუმის ოლქი ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკასთან და გამოეგზავნათ წითელი არმიის ნაწილები აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ეს ერთი. გაჩნდა მეორე საფრთხეც. აფხაზეთის პროთურქულმა ძალებმა ალექსანდრე შერვაშიძის მეთაურობით 1918 წლის ივნისში აფხაზეთში გადმოსხეს თურქეთის 800-კაციანი დესანტი. გარდა ამისა, აფხაზეთის მიტაცებას, საქართველოსაგან მის ჩამოცილებას ცდილობდა დენიკინი. აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული ორიენტაციისა იყო, თუმცა ზემოაღნიშნულ ძალებსაც მცირე, მაგრამ მაინც ჰყავდათ მომხრეები.

როგორი იყო აფხაზთა სახალხო საბჭოს — აფხაზი ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი ორგანოს დამოკიდებულება ამ ძალებისადმი? პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ აფხაზთა სახალხო საბჭო ყოველ ღონეს ხმარობდა თავიდან აეცილებინა როგორც ბოლშევიკური რუსეთის, ისე დენიკინისა და თურქეთის საფრთხე. სწორედ ამ საბჭოს თხოვნით გაიგზავნა აფხაზეთში საქართველოს მხედრობა, რომლებმაც განდევნეს აფხაზეთიდან მტრული ძალები.

კიდევ ერთი მომენტი. 1918 წლის 18 ივლისს აფხაზთა სახალხო საბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა ისიდორე რამიშვილმა განაცხადა, რომ თუ აფხაზთა სახალხო საბჭო მოითხოვს, საქართველოს ჯარი დაუყოვნებლივ დატოვებს აფხაზეთს, რადგან გაჭირვება სხვა ფრონტზეც გვაქვსო.

ვერ გეტყვით, რამდენად სწორი და მისაღები იყო ი. რამიშვილის ეს განცხადება, იქნებოდა თუ არა პოლიტიკურად გამართლებული აფხაზეთიდან საქართველოს ჯარის გამოყვანა, მაგრამ ამჯერად ყურადღება იმას მინდა მივაქციო, თუ როგორი იყო აფხაზთა სახალხო საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობის რეაქცია ი. რამიშვილის ამ განცხადებაზე.

აფხაზთა სახალხო საბჭომ ერთხელ კიდევ დაადასტურა მისი წინანდელი გადაწყვეტილებები აფხაზეთში საქართველოს ჯარის ყოფნის აუცილებლობის შესახებ. საბჭოს წევრმა რ. ი. კაკუბამ განაცხადა:

«Нет никакой необходимости уводить войска из пределов Абхазии и повергать ее в пучину анархии».

დ. მარშანიამ კი თქვა:

«Ни в коем случае отряд не нужно выводить из Абхазии» (იქვე, ფურც. 9).

ამ საკითხზე აფხაზთა სახალხო საბჭოს მსჯელობა ჰქონდა მეორე დღესაც. იმავე დ. მარშანიამ აღნიშნა:

«Изменнических шагов с нашей стороны быть не может, т. к. грузинские части приглашены для оказания помощи нам в тяжелую минуту и вообще с грузинами мы жили всегда дружно» (იქვე, ფურც. 11).

1918 წლის 30 ივლისის სხდომაზე კი ხაბიჯ აშბამ თქვა:

«...Кодорский участок не сыграет роли изменников, ибо они вполне сознают помощь, оказанную грузинским народом.

...Неужели мы способны на удар ножом в спину» (იქვე, ფურც. 24).

ამჯერად სხვა დოკუმენტებს აღარ დავიმოწმებთ. ნათქვამიდანაც ჩანს უსაფუძვლობა მტკიცებისა საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 1918 წელს აფხაზეთის ოკუპაციის შესახებ, რადგანაც, ჯერ ერთი, აფხაზეთი მუდამ შედიოდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო 1918 წელს იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა, რაც ავალდებულებდა საქართველოს მთავრობას, დაეცვა რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური ერთეულის მთლიანობა; მეორე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი მიიწვია აფხაზი ხალხის ნების გამომხატველმა უმაღლესმა ორგანომ — აფხაზთა სახალხო საბჭომ, გარეშე მტრების შემოტევებისაგან დასაცავად.

გელა საითიძე: 31 მარტის რეფერენდუმმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისს აქტი უნდა დაადასტუროს. სხვა ინსტიტუტთა შორის, რომელიც სახელმწიფოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მისი თავდაცვის საქმეს განეკუთვნება. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე, 95-ე, 96-ე და 97-ე მუხლებით დაფიქსირებული იყო რეგულარული სამხედრო ძალის აუცილებლობა. კერძოდ, აღნიშნული მუხლების შესაბამისად, რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ვალდებული იყო პირადად მოეხადა სამხედრო ბეგარა, რომ სამხედრო ძალთა დანიშნულება იყო რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიის დაცვა; რომ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობა ყოველწლიურად უნდა დაემტკიცებინა პარლამენტს და ა.შ. ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმე დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დღეს კი არ გახსენებიათ, არამედ მისი აუცილებლობა ჯერ კიდევ წინა წელს 1917 წ. ნოემბერში შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ მოითხოვა. ეროვნული საბჭოს მიმართვაში კი ნათქვამი იყო: „ბოლშევიკების გამოსვლას თან სდევს ბნელი ელემენტების ამოძრავება. ირაზმებიან „პოგრომშიკები“, მთელ თავის ძალ-ღონეს იკრებენ სხვადასხვა ჯურის დამრბევნი. ქვეყანა დგას ანარქიის უფსკრულის წინაშე... ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ერის ფიზიკური არსებობის დაცვამოითხოვს საყოველთაო დარაზმვას, პირველ ყოვლისა კი გაწვრთნილ სამხედრო ძალას... ჩვენი ახლადშემდგარი და შესაფერად გაწვრთნილი ჯარი. რევოლუციისა და ერის ფიზიკური არსებობის და მისი იდეალების განხორციელების საუკეთესო დარაჯი იქნება. ქართველი ჯარი ჩვენი დემოკრატიის ხელში მეტად ბასრი იარაღი გახდება“. გამომდინარე აქედან საქართველოს ეროვნული საბჭო და მასთან არსებული სამხედრო საქმეთა კომისია მოუწოდებდა ყველა ქართველ ჯარისკაცსა და ოფიცერს, მიეტოვებინათ ფრონტები და სამშობლოსაკენ აეღოთ გეზი, რათა შემდეგ ქართულ პოლკებში ჩაწერილიყვნენ... „დაყოვნება საერთო საქმის დაღუპვა იქნება, დაგვიანება რევოლუციისა და ჩვენი ერის მტრების ხელის შეწყობას მოასწავებს.“

მიმართვა მთავრდებოდა მოწოდების სიტყვებით: „ამხანაგებო!.. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ არ უღალატებთ საერთო საქმეს და ერის საუკეთესო ტრადიციებს... დაიხსენით რევოლუცია განსაცდელისაგან! უზრუნველყავით ერის ფიზიკური არსებობა და მისი საუკეთესო იდეალების განხორციელება! ჩაეწერეთ ქართულ პოლკებში. ქართველი ჯარი რევოლუციის გამარჯვების თავდები იქნება.

გაუმარჯოს ქართველ რევოლუციონურ ჯარს!“

აღნიშნულ მიმართვას ხელს აწერდნენ: ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სამხედრო საქმეთა კომისიის გამგე ნ. რამიშვილი და ეროვნული საბჭოს საქმეთა მმართველი პ. დ. საყვარელიძე (გაზ. „საქართველო“, № 273, 1917 წლის 15 დეკემბერი).

ეროვნული საბჭოს ამ მოწოდებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა სამშობლოს ბედით დაინტერესებული ქართველი საზოგადოება. ამ საქმეში თითქმის ერთნაირად წარმოჩინდა ყველა პარტიების ერთსულოვნება თუ არ ჩავთვლით, ბოლშევიკ - „ინტერნაციონალისტებს“.

შალვა ამირეჯიბი, ცნობილი ეროვნული მოღვაწე, აღფრთოვანებული ეროვნული საბჭოს მიმართვით, მიუთითებდა: „საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავისი პირველი მოწოდება გამოსცა. მოწოდება მიმართულია ქართველი ჯარისადმი... ჯარი ახლა ყველაფერია... ქართული ჯარი, როგორც ეროვნული სამხედრო დაწესებულება, ახალია... ქართველ ერს სურს და ეს მისი კანონიერი უფლებაა, სწორედ ამ თავის ჯარში ხედავდეს ნიშანს თავისი ძლიერებისას და იმედს თავისი იდეალების განხორციელებისას... ეს მიმართვა ქართველი ხალხისადმი... ისტორიული დოკუმენტია. ეს მიმართვა პირველი ნაბიჯია ერის მიზნისაკენ... პირველი წერილობითი საბუთი გაერთიანებისა... ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეს მიმართვა გამოიწვევს ჭეშმარიტ მამულიშვილურ სიხარულს ყოველ ქართველ ჯარისკაცის გულში და დიდს ენთუზიაზმს, რადგანაც ეს მიმართვა კურთხევაა იმ დიდი დროშისა, რომელსაც ეს ჯარი ატარებს...“

ცნობილი ქართველი მამულიშვილი ვაჟ. წერეთელი წერდა: „ვისაც უყვარს თავისი თავი, თავისი ნათესავი, თავისი ტოლი და ამხანაგი, თავის მშობელი ქვეყანა, ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და ქართულ ჯარში ჩაეწეროს!

აწ საქართველოში დეზერტირი აღარ უნდა იყოს, ყველამ უნდა მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე... იმავე დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ჯარში უპირველესად დისციპლინაა საჭირო, ნურავინ შეიტანს ქართულ ჯარში ბოლშევიკურ გამხრწნელ წესებს.

მაშ, ისმინეთ საქართველოს ეროვნული საბჭოს ხმა და შემოკრბით მის გარშემო!“.

აქვე არ შემიძლია, არ დავეთანხმო იმათ, ვინც სახალხო გვარდიის, ანუ პარტიული არმიის შექმნას, დიდ შეცდომად მიიჩნევს. მომავალში კიდევ უფრო მეტი სინათლე მოეფინება ამ საკითხს და ყველა დაინახავს, რომ სახელმწიფოს, თუ მას დამოუკიდებლობა სურს შეინარჩუნოს, აუცილებელია ჰყავდეს რეგულარული სამხედრო ძალა, რომელიც დაიცავს თავისი ქვეყნის ინტერესებს და შეასრულებს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მითითებებს და არა ცალკეული პარტიებისა და პიროვნებების ნება-სურვილს. დემოკრატიული საქართველოს სამწლიანმა დამოუკიდებლობამ მრავალი ჭკუისსასწავლებელი გამოცდილება დაგვიტოვა, მათი გათვალისწინება კი დღევანდელ უაღრესად რთულ პირობებში აუცილებელია.

ისტორია მეორდება, დღეს საქართველოში შექმნილი სიტუაცია ყველას გვავალებს მეტი გონიერების გამოჩენას. თუ ნამდვილად გვსურს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო გვქონდეს, უნდა შევძლოთ მტკიცე შეკავშირება და ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობის გარშემო დარაზმვა, მის მიერ მიღებული კანონებისადმი პატივისცემა და განუხრელი დაცვა. გამომდინარე აქედან, ძალზე დროულია რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი დამოუკიდებელი საჯარისო ნაწილების შექმნის შესახებ...

31 მარტის რეფერენდუმში თითოეულ ჩვენგანის მიერ მიცემული ხმა იქნება მხარდაჭერა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული არმიის შექმნისათვის.

ივანე შენგელაია: მე ორ საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება და ჩემი აზრი გამოვთქვა.

ვფიქრობ, რეფერენდუმისათვის მზადების პერიოდში წინა პლანზე უფრო ემოციური ფაქტორი გამოდის. ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა გულწრფელი განცხადებები რეფერენდუმის მხარდასაჭერად და მასზე დადებითი პასუხის გასაცემად ჯერ კიდევ არ არის ყველა პიროვნების მიერ ამ პრობლემის გათავისების საწინდარი და საკმარისი წანამძღვარი. აპრიორულ ნდობა-რწმენაზე მიღებული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის შემოქმედებითი ხასიათის ქმედება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რეფერენდუმზე დადებითი პასუხის გაცემა არ უნდა იყოს მექანიკური ხმის მიცემა, ეს უნდა იყოს განაცხადი ყოველი ჩვენგანისა იმ შემოქმედებითი შრომისათვის მზადყოფნაზე, რომელიც სახელმწიფოებრიობა აღდგენილ საქართველოში უნდა გაჩაღდეს ნამდვილად დამოუკიდებელი, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად აყვავებული და ძლიერი საქართველოს ასაშენებლად.

ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია და არა მარტო წინა სარეფერენდუმო პერიოდში, ამ მოვლენის მთელი სისრულით, ყველა ასპექტით წარმოჩენა მოსახლეობის ყველა ფენისთვის; წარმოჩენა; უწინარეს ყოვლისა, პერსპექტივის გათვალისწინებით, რადგან რეფერენდუმი თვითმიზანი კი არ არის, არამედ საყოველთაო გადაძახილი ყველა ეროვნული ძალის შესაკრებად, ახალი საქართველოს ასაშენებლად. რეფერენდუმი მხოლოდ ბუკ-ნაღარა იქნება ამ ისტორიული მომენტის დადგომისა.

ეს გადაუდებლად აყენებს დღის წესრიგში, ფართოდ გაიშალოს ამ მოვლენის ახსნა-განმარტებითი, კომენტატორული, პროპაგანდისტული მუშაობა. მასში უნდა ჩაებას სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენცია, ყველა, ვისაც რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია ამ საქმეში. ფორმა და მეთოდი მრავალგვარია — თეორიული კონფერენციიდან ინდივიდუალურ საუბრებამდე.

ჩვენმა ინსტიტუტმა, მართალია დაგვიანებით, მაგრამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით და ამ მუშაობას ჩვენ გავაგრძელებთ, უფრო ღრმა და ფართო ხასიათს მივცემთ.

ვფიქრობ, ასეთი სახის მუშაობა ფართოდ უნდა გაიშალოს რესპუბლიკაში.

მეორე საკითხი გახლავთ რეფერენდუმის, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის დოკუმენტური აღნუსხვა. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან ტელევიზიამ, რადიომ, კინომ, პრესამ, ხელოვნებამ. აქ მუშაობის ამომწურავი ასპარეზია პროფესიონალისთვისაც და მოხალისისთვისაც. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მოვლენა შესაფერის დოკუმენტურ ასახვას ჰპოვებს. მაგრამ მე აქ სხვაგვარი დაინტერესებაც მალაპარაკებს. ჩვენი ინსტიტუტი, მოგეხსენებათ, ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტია. რეფერენდუმი ეროვნული პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და მისი თეორიული განზოგადოება ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ამ სამუშაოს კი სათანადო დოკუმენტური ბაზა ჭირდება. ინსტიტუტის სახელით მე მივმართავ და მოვუწოდებ ყველას, ვისაც კი ამის შესაძლებლობა ექნება, მოაწოდოს ინსტიტუტს (თბილისი, რუსთაველის 29) რეფერენდუმის ამსახველი ნებისმიერი მასალა სათანადო ანაზღაურებით. ყველაფერი ეს ერის კუთვნილებაა და მუდმივ სავანეს დაიდებს ეროვნული პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის პირველ პოლიტიკურ-ისტორიულ ფონდში თაობათა სარგებლობისათვის. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ყველას ჩვენს თხოვნაზე გამოხმაურებისა და მასალების მოწოდებისათვის.

კავკასიის მთის ხალხთა ასამბლეის მონაწილე ჩეჩენთა დელეგაციას

თქვენი წერილის პასუხად ვაცხადებ შემდეგს:

23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე — ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ინგუში და ჩეჩენი ხალხები არ დაუშვებენ „მთის რესპუბლიკის“ შექმნას. მე ვგულისხმობდი ხალხების პოზიციას, და არა რომელიმე ცალკეული დელეგაციის განცხადებას. ინგუში ხალხის პოზიცია ამ საკითხში ერთმნიშვნელოვანია.

თუმცა ეგრეთ წოდებული „საორგანიზაციო კომიტეტის“ წევრები მონაწილეობენ ასამბლეის მუშაობაში, მათი გავლენა ინგუშ ხალხზე უმნიშვნელოა, რაც ნათელი გახდა 24 მარტს ქალაქ ნაზრანში გამართულ მიტინგზე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩეჩენი ხალხი იბრძვის საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ამ ბრძოლას, რადგან მიგვაჩნია, რომ ახლანდელ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

აქედან გამომდინარე, ჩეჩენი ხალხის ენერგია უნდა მოხმარდეს ამ სანუკვარი მიზნის მიღწევას.

ჩემი აზრით, კავკასიის მომავალს უნდა წყვეტდნენ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „მთის ხალხების ასამბლეას“, იგი გვაგონებს 20-იან წლებში არსებულ ეგრეთ წოდებულ „ჩრდილოეთ კავკასიის წითელ რესპუბლიკას“, რომელსაც, სხვათა შორის, საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის მიზნით პირველი გამოეყო სწორედ ჩეჩნეთი.

კრემლი ცდილობს „მთის რესპუბლიკის“ სახით შექმნას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დამონების ისეთი მექანიზმი, რომელიც განახლებული იმპერიის სტრუქტურაში შექმნიდა ფიქციურ ორგანიზმს. ქართველი ხალხისათვის მით უმეტეს გაუგებარია, რატომ უნდა გახდეს „მთის რესპუბლიკის“ დედაქალაქი ქალაქი სოხუმი. აფხაზეთი უძველესი ქართული მიწაა და მის ხელყოფას, რომელიღაც მთის რესპუბლიკაში მის შეყვანას ჩვენ მივიჩნევთ როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

ეს საქართველოს საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევაა. საბჭოთა იმპერიამ იმთავითვე დაუპირისპირა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის მოძრაობა“, რომლის გასაძლიერებლად კრემლი ცდილობს შეუერთოს მას ჩრდილოეთი კავკასია და გამოიყენოს იგი საქართველოს წინააღმდეგ.

სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, რომ ჩეჩენი და ინგუში ხალხები არ უნდა იყვნენ ჩათრეული ამ ანტიქართულ და ანტიკავკასიურ მოძრაობაში.

ჩვენი ხალხების ინტერესები მოითხოვს შეთანხმებულ და კეთილგანწყობილ ურთიერთობას.

საქართველო ამ პრინციპების ერთგული იყო და იქნება.

ზ. გამსახურდია,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შექმნილ რთულ კრიმინოგენულ სიტუაციასთან დაკავშირებით ექსტრემისტების მიერ ფულადი სახსრების ხელყოფისა და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით ამა წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების დახმარებით ფულადი სახსრები და სხვა ფასეულობანი მთლიანად იქნა გამოტანილი ცხინვალის, ყორნისის და ახალგორის ბანკების დაწესებულებებიდან (მძიმე ოპერატიული მდგომარეობის გამო ჯავის რაიონიდან ფულის ნიშნების გამოტანა ვერ მოხერხდა). ამასთან დაკავშირებით შეჩერებულ იქნა საბანკო ოპერაციები. ყველა მეანაბრეს თუ იურიდიულ პირს საშუალება მიეცა ფინანსური ოპერაციები ეწარმოებინა თბილისში არსებულ ბანკების საშუალებით.

მიმდინარე წლის 25 მარტს ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის სახბანკის გამგეობამ საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან სრულიად შეუთანხმებლად ცხინვალის ბინსოცბანკში 5 მარტს ოსეთიდან შეიტანა ფულის ნიშნები 15 მლნ. მანეთის ოდენობით.

სსრ კავშირის სახბანკის გამგეობას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა იმ რთული ოპერატიული ვითარების ამბავი, რომელიც ამჟამად ცხინვალის რაიონშია. გარდა იმისა, რომ შენარჩუნებულია საბანკო დაწესებულებებზე ოსი ექსტრემისტების თავდასხმის საშიშროება, მათი შეიარაღების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მოსახლეობაში აკრეფილი ფულით არის შეძენილი და ასეთ პირობებში ცხინვალში დამატებით 15 მილიონი მანეთის შეგზავნა გახლავთ პირდაპირი მამხილებელი საბუთი ცენტრალურ ხელისუფლებასა და ოს ექსტრემისტებს შორის დანაშაულებრივი ალიანსის არსებობისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აღნიშნული ფაქტის გამო და მოითხოვს ახსნა-განმარტებას საკავშირო სახბანკის გამგეობისაგან.

1991 წლის 26 მარტი.

ბ-ნ ვლადისლავ არძინბას

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის 29 იანვარს საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციების მიხედვით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც შეუწყნარებლად ჭიანურდება და მრავალი უხერხულობის მიზეზად შეიძლება იქცეს. ასე, მაგალითად, 1991 წლის 12 მარტს ოჩამჩირის რაიონში მოიწვიეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესია და აირჩიეს მის თავმჯდომარედ სერგეი ბაგაფში. ეს ქმედება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უგულებელყოფა.

გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი ინციდენტი კვლავ განმეორდეს აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რადგან თქვენ პირადად, ბატონო ვლადისლავ, და მთლიანად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი სისტემატურად უგულებელყოფთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და სხვადასხვა თანამდებობის პირებს აფხაზეთში უმზადებთ ნიადაგს სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად.

თქვენი ასეთი საქციელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამით თქვენ საფრთხეს უქმნით მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას, აღვივებთ ეროვნულ შუღლს, იწვევთ ყოვლად გაუმართლებელ დაპირისპირებას ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, უხეშად არღვევთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას...

თქვენ, როგორც განათლებულ პიროვნებას, მეცნიერს (ყოველ შემთხვევაში, ასეთად გიცნობდით დღემდე), უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყოველი ადამიანის, განსაკუთრებით ხელმძღვანელის, ვალია, იცხოვროს სიკეთის, ურთიერთპატივისცემის მაღალზნეობრივი პრინციპებით, არ აჰყვეს პირად ამბიციებს თუ წაქეზებას. დღეს აფხაზეთის მოსახლეობის ბედი (აქედან 47-პროცენტზე მეტი ქართველია) თქვენ გაბარიათ. შეცდომის უფლება არა გაქვს, რადგან ერთა შორის ჭიდილში გამარჯვებული არ არსებობს. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ისტორიის გაკვეთილები და როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მონაწილეობა მიიღეთ მის მუშაობაში და, რაც მთავარია, შეუსაბამეთ თქვენი პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, რომლის იურისდიქციის ქვეშაც ბრძანდებით.

ზ. გამსახურდია.
1991 წლის 27 მარტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

სარეფერენდუმო და საარჩევნო ბიულეტენების გაყალბების თავიდან ასაცილებლად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

31 მარტს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ბიულეტენების გაცემამდე ხელს აწერენ ბიულეტენის უკანა გვერდზე. ხმის მიცემის შედეგების შეჯამებისას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ხელმოუწერელი ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

* * *

საუბნო საარჩევნო კომისიებს ვაცნობებთ, რომ ამა წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმისა და საკრებულოთა არჩევნების დროს, საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ერთზე მეტი გადასატანი საარჩევნო ყუთი ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კენჭისყრის მოსაწყობად.

* * *

განვმარტავთ, რომ ერთი ოლქის ამომრჩეველს არ შეუძლია იმავე საკრებულოს სხვა საარჩევნო ოლქის დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა, თუ ეს ოლქები ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის (სოფლის, დაბის, ქალაქის) ან ერთი და იმავე საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

მითხარი, ვინ არის მეგობარი შენი...

დღეს ვერავის ვერ გააკვირვებ იმის განცხადებით, რომ სამაჩაბლოში მოქმედი ოსი ექსტრემისტები კრემლის აქტიური მხარდაჭერით და ხელშეწყობით მოქმედებენ.

ყველას კარგად ახსოვს 1989 წლის ნოემბრის მოვლენები სამაჩაბლოში, როდესაც ქ. ცხინვალში მიტინგის ჩასატარებლად ჩამოსულ ქართულ მოსახლეობას წინ აღუდგა შინაგანი ჯარის ნაწილები, ხოლო მათ ზურგს ამოფარებული ოსური მოსახლეობა წითელ დროშებს და ლენინის პორტრეტებს აფრიალებდა. ეს უკვე იმაზე მიუთითებდა, რომ ისახებოდა არა მორიგი ეთნოკონფლიქტი, როგორც ამ მოვლენის წარმოდგენა ცენტრს სურდა, არამედ პოლიტიკური. ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ გამოიყენება ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობა, რომლებიც ინტერფრონტების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ჩვენდა საბედნიეროდ ასეთი გაერთიანებების ჩამოყალიბება საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოხერხდა და ამიტომ მათი ფუნქციის შესრულება მთლიანად „ადამონ ნიხასს“ და მისი ჯურის სხვა ორგანიზაციებს დაეკისრა. მათ იდეურ ერთიანობას რომ ხაზი გავუსვა, ერთი უბრალო მაგალითი მინდა მოვიყვანო. ცხინვალში გამართულ მიტინგებზე ფიგურირებდა პლაკატი, რომელზედაც პირველ სიტყვას თუ გამოვცვლიდით, თავი შესაბამისად რიგაში, ვილნიუსში ან ტალინში შეგვეძლო წარმოგვედგინა. ტექსტი კი შემდეგი იყო: «Осетия была, есть и будет советской». მაგრამ ოსური ექსტრემიზმი რეაქციულ ძალებთან მხოლოდ ლოზუნგების მსგავსებით არ შემოიფარგლება. ისინი არა მარტო უშუალო კავშირში არიან მათთან, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ რიგებს ავსებენ. ოსური მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ანატოლი ჩეხოევი საქვეყნოდ „ცნობილ“ პოლკოვნიკ ალქსნისთან ერთად საპარლამენტო ჯგუფის „სოიუზის“ ერთ-ერთი ლიდერია. ამას წინათ რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის პარიზის საკორესპონდენტო პუნქტის ხელმძღვანელის ფატიმა სალკაზანოვასათვის მიცემულ ინტერვიუში ის ყოველნაირად იცავდა იმპერიის ინტერესებს და იმაზეც კი არ იყო თანახმა, რომ მომავალი საბჭოთა კავშირი ყოფილიყო არა რაღაც ყველასათვის გაუგებარი „განახლებული ფედერაცია“, არამედ სუვერენული რესპუბლიკების კავშირი. რა თქმა უნდა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. აქვე უნდა დავძინო, რომ ზემოთხსენებული პოლკოვნიკ ალქსნისისგან განსხვავებით, რომლის მთავარი მიზანია იმპერიის შენარჩუნება და მისი იდეოლოგიური ფორმები ნაკლებად აწუხებს, ჩეხოევი მყარად დგას მარქსისტულ-ლენინურ დოგმებზე. სწორედ ამ იდეოლოგიისათვის ერთგულმა სამსახურმა, რაც გამოიხატებოდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ მოწყობილ შეიარაღებულ აჯანყებებში, მოუტანა სამაჩაბლოში დასახლებულ ოსებს ე. წ. ავტონომია.

იმავე ფატიმა სალკაზანოვას (რომელიც ეროვნებით ოსია) ინტერვიუ აგრეთვე მისცა „ავღანელმა“ გენერალმა კიმ ცაგოლოვმა. სახელი კიმი აბრევიატურას წარმოადგენს და „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალ მოლოდიოჟი“-ს ნიშნავს, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის. ეს ინტერვიუ, რომელიც სამაჩაბლოში შექმნილ სიტუაციას ეხებოდა, მეტად საინტერესო იყო (ამაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“) და ქალბატონმა ფატიმამ ყველა არგუმენტი გადაუწურა გენერალ ცაგოლოვს.

მე კი მინდა ამ ინტერვიუს ერთ ნაწილს შევეხო, სადაც პირდაპირ იყო დასმული კითხვა, თუ რატომ ამყარებს კავშირებს „ადამონ ნიხასი“ ისეთ იდიოტურ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „პამიატი“ და არა რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან, რაზეც ცაგოლოვმა ფაქტობრივად ვერაფერი უპასუხა. ამ ორი ორგანიზაციის ალიანსში არაფერი გასაკვირი არ არის, თუ მათ იდეოლოგიას გავითვალისწინებთ და აქედან გამომდინარე „პამიატის“ წევრების ჩამოსვლა ცხინვალში ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა ოსური მოძრაობის უკიდურესად მემარჯვენე ნაწილისათვის, რომელიც ოსების „არიულ“ წარმოშობას ქადაგებს, ალბათ კავშირი „დაბალი“ რასის სლავებთან მიუღებელია.

და ბოლოს, როდესაც სამაჩაბლოში მოქმედი ოსური ორგანიზაციების კრემლის რეაქციულ ძალებთან კავშირზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობაც. ის, რომ ოსი ექსტრემისტების შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელობა და მომარაგება უშუალოდ ვლადიკავკაზიდან ხდება, საქართველოს მოსახლეობისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესმა საბჭომ უარი თქვა თავის ტერიტორიაზე რსფსრ-ს რეფერენდუმის ჩატარებაზე, რუსეთშიც და მთელ მსოფლიოში ყველამ კარგად უნდა გაიგოს, თუ რა ძალებს ვუპირისპირდებით ჩვენ.

აქედან გამომდინარე მინდა მოვუწოდო ყველა ოსს და მათ მოთავეებს, რომ დროზე მოეგონ გონს, ზურგი აქციონ იმპერიულ ძალებს და გვერდში დაუდგნენ საქართველოს მოსახლეობას დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ბრძოლაში.

მიხეილ ბაჟუნაიშვილი,
„დას“-ის სათათბიროს წევრი.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ

(დასასრული).

მუხლი 4. მსაჯულთა საარჩევნო კრების ოქმი

ხმის მიცემის შედეგები შეაქვთ კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

კრების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; მსაჯულობის თითოეული კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი; მსაჯულობის თითოეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა; თითოეული არჩეული მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე იყო თუ არა იგი ადრე არჩეული მსაჯულად.

კრების ოქმი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

მუხლი 5. მსაჯულთა არჩევნების შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები კრების ოქმების საფუძველზე დაადგენენ მსაჯულთა არჩევნების შედეგებს და შეადგენენ მოცემული რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს მსაჯულთა სიას.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ არჩევნები ბათილად ცნონ არჩევნების დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო არჩევნებს ჩატარებულად არ ჩათვლის, თუ მასში მონაწილეობდა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლები.

მსაჯულთა სიას დაამტკიცებს მმართველობის ადგილობრივი ორგანო და გადაუგზავნის რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს.

თავი მე-2
ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები. მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში

მუხლი 6. ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები

თუ მსაჯულის არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ან ჩატარებულად არ ჩაითვალა, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აწყობენ ხელახალ არჩევნებს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გამოაკლდა მსაჯული მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეიძლება ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 7. მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში და დამატებითი არჩევნები

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში მსაჯულთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა არყოფნის გამო.

მსაჯულთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა რაოდენობა, აგრეთვე როდესაც საჭიროა შესაბამისი სასამართლოს მსაჯულთა რიცხვის გაზრდა.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნის ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან; არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

თავი მე-3
მსაჯულთა მოწმობა. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი. საარჩევნო ყუთის ნიმუში

მუხლი 8. მსაჯულთა მოწმობა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები (რაიონის ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა სიის დამტკიცების შემდეგ თითოეულ არჩეულ მსაჯულს აძლევენ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის მოწმობას.

მუხლი 9. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულთა სიისა და მსაჯულის მოწმობის ფორმებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 10. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების მასალებს საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თავი მე-4
მსაჯულის გაწვევის წესი

მუხლი 11. მსაჯულის გასაწვევი კრების ჩატარების წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ შრომითი კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც იგი აირჩიეს.

კრებები იმართება ამომრჩეველთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებებს იწვევენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები; მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მსაჯულის გაწვევასთან დაკავშირებით მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი.

მუხლი 12. მეთვალყურეობა გაწვევის შესახებ კანონის შესრულებისადმი

მსაჯულის გაწვევისას ამ კანონის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

მუხლი 13. მსაჯულის გასაწვევი კრების ოქმი

ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება, კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი; მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

მუხლი 14. მსაჯულის გაწვევის შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო განიხილავს მსაჯულის გასაწვევად გამართული კრების ოქმს და თუ გაწვევა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა, ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს.

მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ მის გაწვევას ხმა მისცა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მსაჯულის გასაწვევად კენჭისყრის მოწყობის დროს ამ კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრებს განიხილავს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 20 მარტი

საზღვარგარეთ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობის
დადგენილება

„ქალაქ მოსკოვში მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების მოწყობის დროებით შეჩერების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებისა და „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მთავარი სამმართველოს შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ.

რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობა აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 25 მარტის დადგენილება „ქალაქ მოსკოვში მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების მოწყობის დროებით შეჩერების შესახებ“ და სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 მარტის ბრძანებულება „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის და რუსეთის სფსრ კონსტიტუციის 48-ე მუხლისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის დარღვევით.

რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ადგენს:

1. შეჩერდეს „ქალაქ მოსკოვში მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების მოწყობის დროებითი შეჩერების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 25 მარტის დადგენილების მოქმედება.
2. შეჩერდეს „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 მარტის ბრძანებულების მოქმედება.
3. დაევალოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი.
4. ეს დადგენილება სამოქმედოდ ძალაში შევიდეს მისი მიღების მომენტიდან.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ნ. ელცინი.

მოსკოვი, კრემლი. 1991 წლის 28 მარტი.

მოლდოვის ახალი ამბები

მოლდოვაში ფასების მომავალ ზრდასთან დაკავშირებულ ფულად კომპენსაციას ყველა ვერ მიიღებს, — განაცხადა მოლდოვის სსრ ფინანსთა მინისტრმა ვალერიო მურავსკიმ. — საქმე ის არის, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებითა და მოლდოვის სსრ პარლამენტის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადებულმა დნესტრისპირა რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ მას აქვს საკუთარი სახელმწიფო ბიუჯეტი — და საკუთარი სახელმწიფო ბანკი. ეს დოკუმენტები ავალებს მის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას არ შეიტანონ თავიანთი შემოსავლისა და მოგების ანარიცხები რესპუბლიკურ ბიუჯეტში, რაც დნესტრისპირეთის მცხოვრებლებს უსპობს შესაძლებლობას ისარგებლონ სოციალური დაცვის საშუალებებით მოლდოვის ყველა მოქალაქის თანასწორად.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო იძულებული იქნება აგრეთვე შეწყვიტოს ამ რეგიონში საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ყველა მშენებარე ობიექტის, მათ შორის სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების მშენებლობის დაფინანსება, აგრეთვე პენსიების, დახმარების გადახდა. და ეს სულაც არ არის პოლიტიკური აქტი, აღნიშნა მინისტრმა. დღეისათვის დნესტრის მარცხენა სანაპიროდან სოციალურ ფონდში პრაქტიკულად არ გადმორიცხულა არც ერთი მანეთი. მოსახლეობა რომ არ დაზარალებულიყო, გადახდა პირველ კვარტალში განხორციელდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, მაგრამ, თუ არ იქნება ანარიცხები, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

კიშინიოვში მოიწვიეს დნესტრისპირეთის რაიონული და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეები, ადგილობრივი საფინანსო ორგანოებისა და ბანკების ხელმძღვანელები, რომლებსაც დაწვრილებით განუმარტეს სიტუაცია და მისი მოსალოდნელი შედეგები. მათ წინადადება მიეცათ აგრეთვე დადონ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ თუნდაც წლის დამლევამდე იყოს შენარჩუნებული მოქმედი საფინანსო-საკრედიტო სისტემა და ანგარიშსწორება, მაგრამ კომპრომისის გამონახვა ვერ მოხერხდა.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ საფინანსო სისტემის რღვევისა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, თქვა მოლდოვის სსრ ფინანსთა მინისტრმა. მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შეგვიძლია, რადგან ვერ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ადგილობრივი პოლიტიკანების მოქმედების გამო. რამდენიც დააკლდება რესპუბლიკის ბიუჯეტს ამ რაიონებიდან, იმდენივე დააკლდება ცენტრს. ამ თანხების ანაზღაურება რესპუბლიკის სხვა რეგიონების მოსახლეობის ხარჯზე უაზრობაა.

24-25 მარტს მოლდოვის რესპუბლიკაში იმყოფებოდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ადრიან ნესტასე. ვიზიტის დროს გაიმართა მისი საუბარი რესპუბლიკის პრეზიდენტთან მირჩა სნეგურთან, რომელსაც კონფიდენციალური ხასიათი ჰქონდა. შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანდასწრებით რუმინეთის დიპლომატიის ხელმძღვანელი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს იონ ხადირკეს, მთავრობის პრემიერ-მინისტრს მირჩა დრუკს, საგარეო კავშირურთიერთობის მინისტრს ნიკოლაე ციუს, კიშინიოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლაე კოსტინს. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე მოლდოვისა და რუმინეთის ოფიციალური პირნი. გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც, არსებითად, გახდა რუმინეთში მ. სნეგურის სამუშაო ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკების გაგრძელება. მხარეებმა განიხილეს ახლანდელი საერთაშორისო ვითარების პირობებში ორმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების გზები.

მოლაპარაკების დასასრულ პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ადრიან ნესტასემ გააკეთეს განცხადებები.

მოლდოვის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს რუმინეთის დიპლომატიის მეთაურმა და მოლდოვის სსრ საგარეო კავშირურთიერთობის მინისტრმა ნიკოლაე ციუმ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ამ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოლდოვისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხაზით პირდაპირი კავშირურთიერთობის გაფართოება-გაღრმავებას.

მოლდოვა-პრეს-საქინფორმი.

როგორები იყვნენ ფრანგები შარშან

ფრანგებზე ცნობილია ყველაფერი, ანდა თითქმის ყველაფერი. ასე მიაჩნიათ ჟან-მარკ ლეშსა და დიდიე ტრიუშოს — აქ გამოცემული „საზოგადოებრივი აზრის ლექსიკონი-90“-ის, საფრანგეთის მცხოვრებთათვის შარშან დამახასიათებელი აზრების, გემოვნების, მიდრეკილებისა და ზნე-ჩვეულებების თავისებური გამოკვლევის, ავტორებს. მკვლევართა დასკვნები ეყრდნობა მოსახლეობის მთელი რიგი გამოკითხვების შედეგებს.

მეტი წილი გამოკითხვების თანახმად, მათ, უწინარეს ყოვლისა, შიშს ჰგვრიდა ნარკოტიკები და გერმანიის გაერთიანება. ისინი ილაშქრებდნენ სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის წინააღმდეგ, თუმცა, „რატომღაც“, სავსებით დადებითად მოეკიდნენ ამერიკული „მარლბოროს“ სიგარეტების რეკლამირებას. შემდეგ, „ფრანგი-90“ ვარაუდობდა: კვება ახლა უფრო ცუდია, ვიდრე წინათ იყო, მოსახლეობის 20 პროცენტი გულში ფიქრობდა, „თავიდან რომ დამეწყო ცხოვრება“, წავიდოდი სოფლის მეურნეობაში და ფერმერი გავხდებოდიო. ყველაზე საყვარელი ფილმი საფრანგეთში იყო ფრანგი რეჟისორის ჟან-პოლ რაპნოს ფილმი „სირანო დე-ბერჟერაკი“ ცნობილი კინომსახიობის ჟერარ დეპარდიეს მონაწილეობით, საყვარელი სიმღერა — ფელიქს გრესა და დიდიე ბარბლივიენის „ყველა ქალიშვილს“. ფრანგთა 20 პროცენტი შარშან მოგზაურობდა (ყველა სახეობის ტრანსპორტის გათვალისწინებით) უბილეთოდ, 14 პროცენტმა მოახერხა სულ ცოტა ერთი ქურდობა ჩაედინა მაღაზიებში ან დუქნებში, 3 პროცენტი წავიდა რესტორნიდან ისე, რომ არ გადაუხდია ანგარიში, ხოლო ერთი პროცენტი „იპარავდა“ ელექტროენერგიას ელექტრომრიცხველის გადაკეთების მეშვეობით.

შეიარაღებისაკენ მოუწოდა

ისრაელის პოლიციის გენერალურმა ინსპექტორმა იაკობ ტურნამ შეიარაღებისათვის მოუწოდა ქვეყნის მოზრდილ ებრაელ მოსახლეობას.

როგორც მან ისრაელის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ამჟამად ისრაელში ცეცხლსასროლი იარაღი აქვს 400 ათას კაცს. მაგრამ, მისი აზრით, ეს რაოდენობა ნამდვილად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ „უზრუნველყონ ებრაელთა უშიშროება პალესტინელების მზარდი აგრესიულობის პირობებში“. გენერალური ინსპექტორი აპირებს ამ დღეებში პოლიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც კონკრეტული წინადადებანი იქნება წამოყენებული ამ საკითხზე.

ისრაელის კანონმდებლობის თანახმად, საბრძოლო სასროლი იარაღის შეძენის ლიცენზიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ებრაელებს, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე და ეგრეთ წოდებული „მწვანე ხაზის“ მიმდებარე რაიონებში (ისრაელის ტერიტორია 1967 წლის ომამდე).

ბუშის ჯანმრთელობა ჩინებულია

თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ მომავალში ყოველწლიურად მოეწყობა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სამედიცინო გამოკვლევა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მეთაური გამოკვლევას გაივლის მერილენდის შტატის ბეტესდის სამხედრო-საზღვაო სამედიცინო ცენტრში. როგორც მოსალოდნელია, ჯ. ბუში ჰოსპიტალში დაახლოებით ოთხ საათს დაჰყოფს „ჩვეულებრივი სამედიცინო“ გამოკვლევის დროს.

შარშან ბესტედში ყოფნისას ექიმებმა ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც ამჟამად 66 წლისაა, აღმოუჩინეს მარცხენა თვალის გლაუკომა. ადრეულ სტადიაში დაავადების მკურნალობისათვის მას გამოუწერეს წვეთები, მაგრამ ექიმები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობა არ მოითხოვს თვალის წვეთების გამოყენებას და არ შეიმჩნევა რაიმე გადახრა ან მხედველობის დაკარგვა.

როგორც მედიცინის სპეციალისტები მიიჩნევენ, ჯ. ბუშის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა ჩინებულია.

ვალენსამ ვიზიტი დაასრულა

სამშაბათს ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ ვალენსას ცხრადღის მოგზაურობა დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და, უწინარეს ყოვლისა, პოლონური წარმოშობის ამერიკელებისადმი მოწოდებით, გაზარდონ კაპიტალური დაბანდებანი პოლონეთის ეკონომიკაში. ეს იყო მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში, რომელსაც იგი პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურად ეწვია. ვიზიტი მიმდინარეობდა დევიზით „დაე, პოლონეთი გახდეს აღმოსავლეთ ევროპის ამერიკა“.

მეთვალყურეთა აზრით, პოლონეთის პრეზიდენტმა მთლიანად შეძლო შეესრულებინა თავისი მთავარი ამოცანა, შეეპირებინა შეერთებული შტატების ეკონომიკური დახმარება. პოლონეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას „თვისებრივად ახალი ეტაპი დაუდგა“, აღნიშნულია განცხადებაში მოგზაურობის შედეგების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა სამშაბათს ნიუ-იორკში გამართულ პოლონეთის ხელმძღვანელის საბოლოო პრესკონფერენციაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება პოლონეთს ჩამოაწერონ დავალიანების 70 პროცენტი, რომელიც თითქმის 3 მილიარდ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ამერიკის ადმინისტრაცია აპირებს კონგრესში შეიტანოს წინადადება, რომ გაისად 470 მილიონ დოლარამდე გაუზარდონ უსასყიდლო დახმარება პოლონეთს.

შეიძლება მოგებულიც დარჩეს

ვინ და რამდენი უნდა გადაუხადოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სპარსეთის ყურის რაიონში ამასწინანდელი ომისათვის? პირველი საკითხი უკვე გადაწყვეტილია, და მთავარი გადამხდელები გახდნენ ქუვეითი, საუდის არაბეთი, აგრეთვე იაპონია და გერმანია, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებაში. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ისე ჩანდა, რომ გადაწყვეტილი იყო მეორე საკითხიც: სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა, იაპონიისა და გერმანიის ერთობლივ „შენატანს“ უნდა შეედგინა 54,5 მილიარდი დოლარი. მაგრამ ორშაბათს კონგრესის საბიუჯეტო ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ რეალური ღირებულება შეადგენს დაახლოებით 40 მილიარდ დოლარს და ამრიგად შეერთებულმა შტატებმა შეიძლება დიდი ფინანსური მოგებაც კი მიიღოს.

გერმანიამ ვალდებულება იკისრა ომის ფინანსური ხარჯების დასაფარავად გამოყოს 0,5 მილიარდი დოლარი.

31 მარტი. რეფერენდუმი

ციხე შიგნიდან აღარ გატყდება

ღრმა და მძიმე ზამთარი გვქონდა. ბევრი განსაცდელი გადაგვხდა თავს. სამაჩაბლოში ახლაც იწვის ქართველთა საცხოვრებელი სახლები, დღესაც იღვრება მათი სისხლი. ოსმა ექსტრემისტებმა და სხვა ჯურის დაქირავებულმა მკვლელებმა ფრონტის ხაზი გააფართოვეს, გაზარდეს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების მასშტაბურობა.

ახლა უკვე მათი სამიზნე სამაჩაბლოსთან მოსაზღვრე გორის, ქარელის, საჩხერის, ონის რაიონების მოსახლეობაა, ამასობაში კი მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე ზედიზედ იღებენ კანონებსა და დადგენილებებს, რომლის მიზანია გადაარჩინონ იმპერია და მავანთა იმპერიული ამბიციები, დაუხშონ ხალხებს თავისუფლებისაკენ ლტოლვა, თავიანთ მიზნებს დაუმორჩილონ მათი აწმყო და მომავალი.

ტელევიზიის ეკრანთან არაერთგზის გავმხდარვართ მოწმენი: სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის მსვლელობისას რამდენჯერაც არ უნდა მიირბინოს მიკროფონთან ჩვენი ხალხის მტერმა ა. ჩეხოევმა, ნათლიმამა ლუკიანოვი მას სიამოვნებით აძლევს სიტყვას, იცის, ოს სეპარატისტთა „რჩეული" ისეთ რამე-რუმეებს ილაპარაკებს, რომ გულს აუჩუყებს სესიის თავმჯდომარესაც, პრეზიდენტსაც, ქორებსაც კი, დარბაზში რომ სხედან და მტაცებლის თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ.

ჰოდა, ჩეხოევი ტრიბუნიდან მოთქვამს, თუ როგორ უსწორდებიან საწყალ ოსებს, ბუნების გულუბრყვილო შვილებს ქართველი „ბოევიკები", რა უმოწყალოდ ჟლეტენ ისინი მშვიდობიან მოსახლეობას (ამ დროს დარბაზში, ვისაც ეს დავალებული აქვს, აღშფოთებით უნდა წამოიძახოს: „რა სისაძაგლეა!", „ეს ხომ ბარბაროსობაა!", „და ეს ყველაფერი ჩვენს ცივილიზებულ საუკუნეში?!" ამის გამგონე სამხედროები თვალებს აბრიალებენ, იარაღს აჟღარუნებენ: „დროა, ჭკუა ვასწავლოთ თავგასულ ქართველებს", და ა. შ.).

მთელ ამ სპექტაკლში სტატისტიდან დაწყებული, ვიდრე მთავარ რეჟისორამდე, ყველას თავისი სათქმელ-სათამაშო აქვს. საბოლოოდ, კი, იმპერია ამდაგვარი აკრძალული „ილეთებით" იხანგრძლივებს თავის არსებობას, მაგრამ როდემდე, ბატონებო, როდემდე?!

დაიღალა ხალხი ამდენი სისხლის ნთხევით, შიშით, შიმშილით, ჰოდა, ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამაც გადაწყვიტა, მოდი, ამ დაბეჩავებულებს, ცოტათი მაინც გავახალისებ, გავამხიარულებ, გულიდან დარდებს გადავუყრიო.

შეიძლება მთლად მასეც არ იყო, მაგრამ როდესაც მოსკოვმა ზარზეიმით გამოაცხადა, 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმი ჩატარდებაო, ყველა საგანს თავისი სახელი დაერქვა.

დღეს უკვე ვიცით არამარტო საკავშირო რეფერენდუმის შედეგები, არამედ მისი მომზადებისა და ჩატრების ბინძური „ტექნოლოგია", ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, საქართველოში. მართლაც, სხვა რა უნდა დაარქვა აფხაზეთში გამართულ „რეფერენდუმს", რომლის შედეგებსაც სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოები კი არა, რესპუბლიკის პროკურატურა სწავლობს?!

ახლა, ე. წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ „რეფერენდუმს" აღარ იკითხავთ? „კავშირში" დარჩენას ხმა მისცა 99,8 პროცენტმა! უძრაობის ეპოქის ლიდერებსაც კი შეშურდებოდათ მასების ასეთი „მონოლითურობა".

შედეგები ხომ სასაცილოა, მაგრამ არანაკლებ ღიმილისმომგვრელია საკავშირო რეფერენდუმისთვის მზადების ზოგიერთი დეტალი.

ქ. გორში საკავშირო სამთავრობო დეპეშები და წერილები ყოველდღე არ მოდის, რომ ჩვეულებრივ ამბავად ჩათვალო და ყურადღება არ მიაქციო. ამიტომ როდესაც ა. წ. მარტის პირველ რიცხვებში ქეთინო ეგნატაშვილმა მოსკოვიდან, კრემლიდან დეპეშა მიიღო, თანაც ამხანაგ ა. ლუკიანოვის ხელმოწერით, თუმცა იგი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მაინც სახტად დარჩა. აი, რა ეწერა მასში: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებით მოგმართავთ თხოვნით, აღმოგვიჩინოთ ყოველმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების საკითხზე 17 მარტის რეფერენდუმის ჩატარებაში. საამისოდ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოხატვის კანონიერი გარანტიის მკაცრ დაცვას.

ა. ლუკიანოვი".

— ჯერ დავიბენი, შევცბი კიდეც. მთავრობისგან ასეთი დეპეშა არასოდეს მიმიღია, მეტადრე, ლუკიანოვისაგან, რომელსაც, სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობებზე ყოფნისას ვამჩნევ, რომ ვერაფრით დასწამებ საქართველოს დეპუტატთა კორპუსისადმი, და საერთოდ, ქართველებისადმი რაიმე სიმპათიას, ამით იგი საოცრად ჩამოჰგავს თავის უშუალო პატრონს — ქვეყნის პრეზიდენტს. ან რა დახმარება უნდა გამეწია რეფერენდუმის ჩატარებაში, როცა გორის რაიონისა და ქალაქ გორის არც ერთი მოქალაქე არ აპირებდა მასში მონაწილეობის მიღებას.

ჩემი თანამოსაუბრე ახალგაზრდა ქალი, ორი შვილის დედა, გორის № 1 საკონსერვო ქარხნის მუშა ქეთინო ეგნატაშვილია.

ქეთინომ თავისი ფიქრები და მოსაზრებები 17 მარტის რეფერენდუმის თაობაზე წერილით აცნობა ამხანაგ ა. ლუკიანოვს, რომელიც გორის პრეფექტურის გაზეთმა „გორმაც" დასტამბა:

„17 მარტის რეფერენდუმი ესაა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მისწრაფება, კიდევ ერთხელ შეაჩეროს იმპერიის კანონზომიერი რღვევის პროცესი. როგორც მოქალაქეს და ქართველი ერის შვილს, პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია რეფერენდუმის გზით გადაიჭრას საკითხი იმის შენარჩუნების შესახებ, რაც საფუძველშივე არაკანონიერადაა შექმნილი (ვგულისხმობ სსრკ-ს).

ამასთან უკვე დადასტურებულია, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი ეწინააღმდეგება თვით მოქმედ საკავშირო კანონმდებლობას და რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული რეფერენდუმი ყოვლად მიუღებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც ამჟამად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების რეალურ გზაზე დგას, რეფერენდუმის ერთადერთი მიზანი კი სსრკ-ს ძალდატანებით შენარჩუნებისათვის იურიდიული საფუძვლის მომზადებაა.

ბატონო ანატოლი, შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს რესპუბლიკაში 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი არ ჩატარდება და მე როგორც ჩემი რესპუბლიკის მოქალაქე, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები თქვენს მოთხოვნას 17 მარტის რეფერენდუმის ჩატარებასა და კავშირის შენარჩუნებაში თანამშრომლობის შესახებ. ამის საპირისპიროდ, ისევე როგორც მილიონობით ჩემი თანატოლი და თანამოაზრე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე წლის 31 მარტს ადგილობრივი მართვის ორგანოების არჩევნების დღეს დანიშნულ რესპუბლიკურ რეფერენდუმზე სიამოვნებით მივცემ ხმას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას.

პატივისცემით
ქეთევან ეგნატაშვილი.

მხოლოდ ასე!

17 მარტის რეფერენდუმისადმი, ქეთევან ეგნატაშვილის, როგორც მოქალაქის პოზიცია, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის, ქართველის (და არა მარტო ქართველის) პოზიცია და მრწამსია.

წავიდა ის დრო, როცა საკავშირო დეპუტატობის მანდატს ამოფარებული ქართველი ემისრები (ღმერთმა დაგვიფაროს ყველას მიმართ მსგავსი შეხედულებისაგან!) კრემლის საამებელ საქმიანობას რომ ეწეოდნენ საქართველოში, ოცდაათი ვერცხლისთვის რამდენჯერ გატეხილა ჩვენი დედოციხე შიგნიდან, რამდენჯერ დაგვტყდომია „უფროსი ძმის" რისხვა, რამდენჯერ დაღვრილა ქართველის სისხლი, რამდენჯერ გაუყენებიათ ეტაპით შორეულ გზაზე გამორჩეული მამულიშვილნი, ჩვენი ეროვნული მოძრაობის წინამძღოლები...

... დღეს სხვა დროა, სხვა ქარები აფრიალებენ შინდისფერ დროშებს გორის პრეფექტურის შენობის გუმბათზე, აქ დაუდგია ბინა გორის საკრებულო არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიას.

— როგორ ემზადება ქართლის მეთაური ქალაქის საკრებულოს არჩევნებისთვის, რესპუბლიკურ რეფერენდუმისათვის?

ლევან ცომაია, კომისიის წევრი, გორის „აგროტექსერვისის" ინჟინერი: „საარჩევნო და სარეფერენდუმო სამზადისი უკვე დასრულდა. შევქმენით და დავამტკიცეთ საუბნო კომისიები, დაზუსტებულია ამომრჩეველთა სიები, დაბეჭდილია და მოქალაქეთათვის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დარიგებულია ბიულეტენები.

31 მარტს 39278 გორელი მოქალაქე და დაახლოებით ათასამდე სამაჩაბლოელი ლტოლვილი მოვლენ საარჩევნო უბნებში, რათა ხმა მისცენ საკრებულოში დასახელებულ კანდიდატებს და უპასუხონ ყველა თაობისა და საუკუნის საქართველოს მარადიულ კითხვას — გსურთ თუ არა იყოთ თავისუფალი, ანუ უფრო ზუსტად:

— თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?"

ვაჟა ბურჭიანი.

თავისუფლება გარდაუვალია...

დღეს, როცა მშვიდობიანი ატმოსფერო საქართველოში ბევრად არის დამოკიდებული თითოეულ ჩვენგანზე, ცალ-ცალკე და ყველაზე ერთად, საჭიროდ ვთვლი გულწრფელად გამოვთქვა გარკვეული თვალსაზრისი დღევანდელობის მიმართ. ამიტომ, მინდა მოვუწოდო ფართო საზოგადოებრიობას, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, რომ გარდაქმნა უძლიერესი ნაბიჯია კაცობრიობის წინსვლის გზაზე — მართალია არასრულყოფილი, მაგრამ დიდი ნაბიჯი. თუ მან საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა, წინა პლანზე მაინც წამოწია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხები, უწინარესად დაგვანახვა გზა, რომ იმპერიის მოსპობით „ჩვენი ქვეყნის" ყველა ერი დიდ ნაბიჯს გადადგამს თავისუფლების გზაზე. მაგრამ, ჩემი აზრით, საკითხი ასე დგას — თავისუფლებას მიიღებს ან ყველა, ვინც ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვის, ან არც ერთი. ხოლო რამდენადაც ყველა ჰუმანური ადამიანის დევიზია „ყველა ერის მშვიდობა და დამოუკიდებლობა", უნდა ვიბრძოლოთ, რომ პირველს მივაღწიოთ, ხომ გაგიგიათ გამძაფრებით მძვინვარებს და ბობოქრობს ვნებათა ღელვა, როდესაც თავისუფლებისთვის გამოსავალს ეძებს, იგი აწყდება ნაპირებს, სანამ იმპერიულ ჯებირებს არ გაარღვევს და საკუთარ კალაპოტს არ გაჭრის. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში არც „წინა კაცი უკანას ხიდიაო" რეალობა უნდა გამოვრიცხოთ და ყველამ, ძალისხმევა მივმართოთ იქით, რომ თუნდაც ვინმემ გაარღვიოს იმპერიის გალავანი თავისა და სხვათა საკეთილდღეოდ, და არა ის, რომ ამ დიდ და რთულ გზაზე ხელი შევუშალოთ ერთმანეთს. ამიტომ მოგმართავთ საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, მხარი დავუჭიროთ 31 მარტის რეფერენდუმს და ერთხმად მივცეთ ხმა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ნათელ მომავალს.

საერთოდაც, თითოეული პიროვნების ვალია მხარი დაუჭიროს არა მარტო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას (უკვე ბრძოლას, და არა მოძრაობას), არამედ ყველა ხალხის ეროვნულ — განმათავისუფლებელ ბრძოლას მთელ მსოფლიოშიც. მითუმეტეს საქართველოში არ უნდა ავყვეთ ცდუნებას, უკან არ უნდა დავიხიოთ ხელოვნურად თუ ბუნებრივად შექმნილი სიძნელეების წინაშე, რომლებიც ხშირად გვხვდება თავისუფლებისათვის ბრძოლის წმინდა გზაზე. ხელოვნურად — რადგანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საერთო, „ერთგული" იმპერიის ხელში ვართ, ბუნებრივად კი დემოკრატიის სტიქიურობისას წარმოიშობა გარემოებები და პირობები, სადაც ხშირად მავანნი ერის მხსნელისა და გმირის როლებს თამაშობენ — თუ კარგად არ დაუფიქრდი, ეს თითქმის ყოველთვის იწვევს მოწონებასა და საკმაოდ მძაფრ რეაქციას, წარმოიშვება მძაფრი სულიერი ჭიდილი პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის გამო. სინამდვილეში კი, უზენაესი სამართლიანობის მაძიებელი, ეკონომიკურად დაბეჩავებული და ამის გამო ფიზიკურადაც დამაბუნებული სხვადასხვა ხალხი, რომლებიც მიხვდნენ, რომ მათ დიდხანს ატყუებდნენ, ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ნანატრი სურვილით მთელი არსებით შეიგრძნონ ჭეშმარიტი სიცოცხლის აზრი, როცა ყველა ჩვენგანის ვალია ვიხსნათ ჩვენთვის ძვირფასი, მოტყუებული ხალხი და ვემსახუროთ მას. ზოგიერთების განსხვავებულმა პოლიტიკურმა მრწამსმა ადამიანები სხვადასხვა გზებზე გაიყვანა და იძულებული გახადა ერთმანეთს მტრად მოეკიდებოდნენ, აქ კი, თავს იჩენს ის მკაცრი მუქარა და ანგარიშსწორება, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს უთვლიან, რადგან მუქარის შესრულება მიაჩნიათ (რა თქმა უნდა, შეცდომით!) აუცილებელ პირობად თავიანთი მრწამსის გამარჯვებისათვის. გთხოვთ გაიგოთ — ამ და სხვა მიზეზების გამო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეიძლება შეფერხდეს ან დაჩქარდეს, მაგრამ საქართველოს სრული თავისუფლება გარდაუვალია. იგი დამოუკიდებლობას აღიდგენს და დამოუკიდებელი იქნება, ვიდრე მიწა ბრუნავს და მზე ანათებს. რამდენად საამაყო და სასიამოვნოა, რომ თავისუფლების მოპოვებაში თითოეული ჩვენგანის წვლილიც იქნება — როგორც საქართველოში მაცხოვრებელი მოქალაქისა. ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, აუცილებლად დადგება დრო, როდესაც დამყარდება ერებს შორის ურთიერთობის იდეალური წყობა. საერთოდ, ერის უფლებას აღდგენა არ უნდა სჭირდებოდეს: საკაცობრიო ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, არც ერთ ერს არა აქვს უფლება მეორეზე იბატონოს. ისევე, როგორც არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება მეორე ადამიანზე იბატონოს. ამიტომ, მე მსურს იმპერიის ჯოჯოხეთის დანგრევა, ხალხის განთავისუფლება, რაც სულიერი თავისუფლებისა და მორალური სრულყოფის საწინდარია. კიდევ ერთხელ მოგმართავთ: იწამეთ ღმერთი, შეიბრალეთ თავისუფლება. მოდით, ავაგოთ სიკეთეზე დაფუძნებული ხალხთა ცხოვრება, თანავუდგეთ თავისუფალი ცხოვრების ხალხისეულ უფლებებს და ხმა მივცეთ 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ადრე თუ გვიან, ჭეშმარიტების ის სინათლე, რომელსაც თავისუფლება ასხივებს, ყველას გაუხსნის გონებას და, როგორც ამბობენ, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ბორის დუდაროვი,
საქართველოს რესპუბლიკის „მრეწვმშენბანკის" უფროსი ეკონომისტი, ყოფილი ოსური ასოციაცია „რასთძინადის" („სიმართლის") თავმჯდომარე.

სხვადასხვა

საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის" განცხადება

ამა წლის 30 მარტს, შაბათს, 14 საათზე, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში (მ. კოსტავას ქუჩა № 37) გაიმართება საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის" დამფუძნებელი ყრილობა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მოძრაობა „თანადგომა" დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებების ნებაყოფლობითი, თანასწორუფლებიანი გაერთიანებაა. მისი საკოორდინაციო საბჭო მიზნად ისახავს ეროვნულ-ზნეობრივი ტრადიციების აღდგენისა და დამკვიდრების საფუძველზე, დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, მიაღწიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების, მთელი ერის კონსოლიდაციას, მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერის ინტერესების გამომხატველ ისეთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, რომლებსაც ძალუძთ ქართველი ხალხი მიიყვანონ იმ ტაძრამდე, თავისუფლებ და დამოუკიდებლობა რომ ჰქვია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მსურველ ორგანიზაციებს, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ მიიღეს ჩვენი წერილი, ვთხოვთ აირჩიონ სამ-სამი დელეგატი. „თანადგომის" წესდებას მიიღებენ რეგისტრაციის დროს.

საორგანიზაციო კომიტეტი.

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

27 მარტს საღამოს ოსმა ექსტრემისტებმა ქალაქის მხრიდან კვლავ დაუშინეს ცეცხლი ცხინვალის შესასვლელთან განლაგებულ საქართველოს მილიციის საგუშაგოებს. შინაგანი ჯარის ნაწილის ჩარევის შემდეგ სროლა შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რეგიონში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. დაძაბულობას ხელს უწყობს ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მხრივ დეზინფორმაცია და წაქეზებლობა. ამ დღეს, მაგალითად, როგორც კი პროგრამა „ვრემიაში" გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ანატოლი ჩეხოევი და ბრალად დასდო საქართველოს ხელისუფლებას, ქართველ ხალხს ოსი მოსახლეობის გენოციდი, ოსმა ექსტრემისტებმა მაშინვე სროლა აუტეხეს საქართველოს მილიციის საგუშაგოებს.

საქართველოს მილიციის დროებითი შტაბის უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ბატონმა აკაკი ბოჭორიშვილმა 28 მარტს დილით გვითხრა:

— ჩვენ სისტემატურად ვესაუბრებით ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებს. პატიოსან, მშრომელ ადამიანებს სურთ მშვიდობიანობის აღდგენა. ისინი შეწუხებული არიან იმის გამოც, რომ გაზაფხული მოვიდა და ვერ გადიან მინდვრად სამუშაოდ.

რაც შეეხება ცხინვალის ბლოკადას, იგი ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან ჩრდილოეთიდან როკის გვირაბის გავლით გამოგზავნილ ყველა ტვირთს სამხედროები მოჰყვებიან, საქართველოს მხრიდან შემოსული პროდუქტებისა და საქონლის ქალაქში შეუფერხებლად შეტანას კი ჩვენი მილიცია უზრუნველყოფს.

ქალაქი რომ ბლოკირებული და სურსათის გარეშე დატოვებული იყოს, მაშინ სოფლებიდან ცხინვალში არ ჩაიყვანდნენ ათასობით მოხუცსა და ბავშვებს, რაშიც მათ სამხედროებიც ეხმარებიან. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, სამხედროები მოხუცებისა და ავადმყოფების გადმოყვანაში ასეთ დახმარებას არ უწევენ ქართველ მოსახლეობას.

საღამოს ექვს საათზე, ყორნისის რაიონის სოფელ ნულის გადასახვევთან ოსი ბანდიტები თავს დაესხნენ ავტომანქანას, რომლითაც ოთხი ქართველი ახალგაზრდა მგზავრობდა. დაუზუსტებელი ცნობებით, სამი მათგანი მოკლეს, ერთი დაჭრეს.

ოსი ექსტრემისტები სამაჩაბლოს ამ რაიონშიც განზრახ ძაბავენ ვითარებას, რათა გაამართლონ საგანგებო წესების შემოღების აუცილებლობა ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე, რომლის მოთხოვნითაც 27 მარტს პროგრამა „ვრემიაში" გამოვიდა ანატოლი ჩეხოევი.

28 მარტს დილით ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში შედარებით სიმშვიდე იყო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქინფორმი.

ფოტორეპორტაჟი

მიეძღვნა მრავალშვილიან დედებს

ამ ბოლო ხანს ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებანი. უდავოდ, სასიკეთო საქმეს აკეთებენ მათი მოთავენი. ახლა მაინც, როცა რესპუბლიკის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, როცა, განსაკუთრებით გვჭირდება ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული, ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველგვარ ქველმოქმედებას.

25 მარტს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მეტად საინტერესო საღამო, რომლის შემოსავალი მთლიანად მრავალშვილიან დედებს მოხმარდება. მისი სპონსორი იყო საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწყობილობა-დანადგარებისა და სპეციალური მასალების რესპუბლიკური ბაზა გენერალური დირექტორის თამაზ დუნდუას ხელმძღვანელობით.

საღამოზე მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლები „ნინო" და „ფაზისი", ტრიო „ჰარმონია", თეატრისა და ესტრადის ცნობილი მსახიობები ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე, ქართლოს კასრაძე, ბიძინა მახარაძე, ოთარ რამიშვილი, ირმა სოხაძე, ლელა-შელი ინგა ბერაძე და გია გეგელაშვილი, მზია ქვირიკაშვილი და სხვები.

კიდევ ერთი მშვენიერი საქველმოქმედო კონცერტი იხილა მაყურებელმა.

თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

სპორტი

უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა

უკან არის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სამი ტური, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასულ პირველობასთან შედარებით, წლევანდელი გათამაშება უფრო დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ უმაღლეს ჯგუფში მონაწილე გუნდებიდან, უდანაკარგოდ არც ერთი კლუბი არ იბრძვის, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი, თითქმის ყველა კლუბს დაძლეული აქვს ის ბარიერი, ტიტულოვან კლუბებთან ჭიდილი რომ ჰქვია.

მესამე ტურის ცენტრალური მატჩი რუსთავში გაიმართა. აქ შარშანდელი გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა „გორდამ" გასული წლის ჩემპიონს თბილისის „იბერიას" უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ ფრედ 2:2 დამთავრდა. ისე მოხდა, რომ თბილისელებს პირველ ტურებშივე თავიანთ უშუალო კონკურენტებთან მოუწიათ შეხვედრა, როგორც გახსოვთ, მათ 20 მარტს ლანჩხუთის „გურიას" უმასპინძლეს და შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა. „იბერიას", ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა სახლში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ „გორდასთან" გამარჯვებაზე ეწრუნა. მაგრამ, თუ მათ ეს ვერ შეძლეს, პირველ ყოვლისა, რუსთაველი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომლებმაც ტიტულოვან მეტოქეს ტოლი არ დაუდეს. აღსანიშნავია, რომ თბილისელები ამ შეხვედრაში ორივეჯერ მდევრის როლში მოგვევლინენ, გოლები კი, რომელიც ამ შეხვედრაში გავიდა, ნებისმიერი რანგის ასპარეზობას დაამშვენებდა. რუსთაველთაგან თავი გამოიჩინეს ავაქიანმა და ფანცულაიამ, ხოლო „იბერიის" მხრიდან ორივე გოლი ინალიშვილის ანგარიშზეა.

მეორე ტურამდე ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავდა ფოთის „კოლხეთი-1913"-ის სახით. „კოლხეთი" მესამე ტურის შეხვედრაში საკუთარ მოედანზე ჩემპიონატის დებიუტანტ ვანის „სულორის" მასპინძლობდა. საინტერესო ორთაბრძოლა, ისევე როგორც რუსთავში, აქაც ფრედ — 2:2 დამთავრდა. პირველი ბურთი ამ მატჩში „სულორმა" გაიტანა — თავი გამოიჩინა ხურცილავამ, შემდეგ მასპინძლებმა ტემპს უმატეს და ქობალიამ ძლიერი და ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, პირველ ტაიმში „კოლხეთმა" დაწინაურებაც შესძლო. ვანელთა ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში ჩაგდო ბურთი. „სულორის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტ. ვერულაშვილმა შეძლო გაეთანაბრებინა ანგარიში. საბოლოოდ კი — ფრედ — 2:2.

ქუთაისში ადგილობრივი „ქუთაისი" ზესტაფონის „მარგვეთს" ხვდებოდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ქუთაისელთა გუნდს განვლილი ორივე თამაშში წაგება ჩაეთვალა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ოჩამჩირის „ამირანთან" და ვანის „სულორთან" ორი მინდვრის მოთამაშის მაგიერ, სამი შეცვალა, რაც დებულების ერთ-ერთი პუნქტის დარღვევაა. ამიტომაც ქუთაისელები ზესტაფონელებთან შეხვედრით ახლად იწყებდნენ ჩემპიონატს. გუნდს, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. დაძაბული ბრძოლა მინიმალური ანგარიშით — 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა.

ტურის სხვა შედეგები: „გურია" (ლანჩხუთი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0, „ბათუმი" (ბათუმი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0, „ოდიში" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური) 4:0, „მერცხალი" (ოზურგეთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1, „ცხუმი" (სოხუმი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 2:1, „დილა" (გორი) — „მზიური" (გალი) 2:0, „კოლხეთი" (ხობი) — „სანავარდო" (სამტრედია) 0:0.

* * *

სურათზე: ტურის ცენტრალური მატჩის, რუსთავის „გორდასა" და თბილისის „იბერიის" შეხვედრის მომენტი.

რაჟდენ გაბრიჩიძის ფოტო.



გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 29 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	3	2	1	0	7:4	7
„გურია" (ლანჩხუთი)	3	2	1	0	4:1	7
„ცხუმი" (სოხუმი)	3	2	1	0	4:1	7
„ოდიში" (ზუგდიდი)	3	2	0	1	7:1	6
„ბათუმი" (ბათუმი)	3	2	0	1	5:4	6
„დილა" (გორი)	3	2	0	1	5:4	6
„იბერია" (თბილისი)	3	1	2	0	5:2	5
„კოლხეთი" (ხობი)	3	1	1	1	3:1	4
„სულორი" (ვანი)	3	1	1	1	5:4	4
„გორდა" (რუსთავი)	3	1	1	1	4:4	4
„მერცხალი" (ოზურგეთი)	3	1	1	1	3:3	4
„სამგურალი" (წყალტუბო)	3	1	1	1	2:2	4
„სანავარდო" (სამტრედია)	3	1	1	1	3:4	4
„ამირანი" (ოჩამჩირე)	3	1	0	2	4:3	3
„შევარდენი-1906" (თბილისი)	3	1	0	2	6:6	3
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	3	1	0	2	3:4	3
„ალაზანი" (გურჯაანი)	3	1	0	2	1:4	3
„ქუთაისი" (ქუთაისი)	3	1	0	2	1:6	3
„მზიური" (გალი)	3	0	1	2	0:5	1
„ივერია" (ხაშური)	3	0	0	3	0:9	0

პრობლემა

რბევა!..

— **იყიდება დეფიციტი!...** გონებაარეული ბრბო გამაყრუებელი წივილ-კივილით იჭრება სავაჭრო დარბაზებსა და საწყობებში, ამსხვრევს, ალეწვერებს ვიტრინებს, დახლებს, ანადგურებს სავაჭრო ინვენტარსა და მოწყობილობას, იტაცებს საქონელს, შეურაცხყოფს, ზოგჯერ სცემს კიდეც ვაჭრობის მუშაკებს.

სამწუხაროდ, ასეთი სურათი უკანასკნელ ხანს ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა თბილისში. ეს მეტნაკლები მასშტაბით თითქმის ყოველდღიურად ხდება ჩვენს თვალწინ, ხდება დილით-მზისით, მაშინ როცა თბილისელთა უმრავლესობა შრომობს.

როგორც ამბობენ, ყოველი ასეთი რბევა რაღაც ერთნაირი, წინასწარგამიზნული სცენარის მიხედვით იწყება. დედაქალაქის რომელიმე სავაჭრო ობიექტთან თავს იყრის მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, რომელიც ეძებს აქ მოსულ მომხმარებლებს, თავზედურად იჭრება დირექციაში და ისტერიულად მოითხოვს ბაზიდან შემოტანილი საქონლის დაუყოვნებლივ გამოტანასა და გაყიდვას. რას არ მიმართავენ ამ მიზნის მისაღწევად: მუქარას, შანტაჟს, და ბოლოს, თუ სავაჭრო გახდა იმპროვიზირებულ მიტინგებსაც შესაბამისი მოწოდებებით და ა. შ.

ვინ არიან ისინი, ვისაც სათარეშოდ გაუხდია დედაქალაქის ძირითადი სავაჭრო ობიექტები. ვის ხელში ხვდება ის, ისედაც შეზღუდული დეფიციტი, რომელიც დრო და დრო ასეთი ვაი-ვაიშით და ხელჩართული მუშტიკრივით იყიდება ჩვენს მაღაზიებში? ამას იოლად გაარკვევთ თუ მიაკითხავთ იქვე მაღაზიებთან თუ უნივერმაღებთან ატუზულ სპეკულანტებს, შეიძლება „დეზერტირის", მუხიანისა თუ გაჩიანის ბაზრობებზე, ან ჩვენს ქალაქში უკანასკნელ ხანს სოკოებივით მომრავლებულ ე. წ. კომერციულ ცენტრებში.

მაგალითად, ამას წინათ უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროში", გაყიდული ბავშვის 18-მანეთიანი იმპორტული შარვალი იყიდებოდა 150 მანეთად, 5-მანეთიანი პერანგი — 50 მანეთად. სამაგიეროდ ბავშვთა სამყაროელებს შერჩათ ჩამტვრეული დიდი ვიტრინები (რომელთა შეცვლაც დღემდე ვერ მოხერხდა), ივარქმნილი დარბაზები, ნაგვემ-ნაცემი მომსახურე პერსონალი დახლის მუშაკებიდან მოყოლებული დირექციის ჩათვლით. ეს არის და ეს!

ახლავე იყო იმ ორიოდე დღის წინათ თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში იმპორტული ფინჯნების გაყიდვის დროს. მიუხედავად დაფაზე გამოკრული გასაყიდი საქონლის რაოდენობის ამსახველი განცხადებისა, განაწყენებულმა აზვირთებულმა ბრბომ გადააბრუნა დახლები, დაამტვრია ვიტრინები, შეიჭრა უნივერმაღის საწყობში, დაუწყო შემოწმება არსებულ მატერიალურ ფასეულობას, მაგრამ „გადამალულ" იმპორტულ ფინჯნებს ვერსად მიაგნო.

ცენტრალური უნივერმაღისა და აქ მოსული მილიციის თანამშრომლებს, დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ აღეკვეთათ ეს განუკითხაობა და დაეცვათ ის, რაც გადაურჩა ამ ინით აუწერელ ძალადობას.

სამწუხაროდ, ასეთი გახლავთ თბილისში დეფიციტური სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ახლანდელი ორგანიზაციის რეალური შედეგი.

როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?

ყოველდღიურად ათეულობით ჩვენი თანამოქალაქე გვიზიარებს თავის აზრს ამ საკითხზე.

„დღევანდელი საყოველთაო დეფიციტის პირობებში სერიოზულ პრობლემად გვექცა ყოველგვარი წვრილმანის, ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის (მითუმეტეს იმპორტულის) შეძენა, ეს მეტად სამწუხარო ფაქტია — გვწერენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერები, ქაღალდისა და საკანცელარიო ნაწარმის ფაბრიკის მუშაკები და სხვა წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები — მაგრამ ეს არ გვაძლევს საბაბს დავკარგოთ ადამიანური ღირსება, ზნეობა და ვანდალებივით შევესიოთ სავაჭრო ქსელს. განა ბავშვის ერთი შარვალი ან ორიოდე უცხოური ფინჯანი ღირს იმად, რომ ხოშარსა და ნაყაჩაღარს დავამსგავსოთ ჩვენი ქალაქი, რომელსაც ახლა ყველაზე მეტად სჭირდება თბილისელთა სიმშვიდე და სიდარბაისლე, ურთიერთ თანადგომა და პატიოსანი სამსახური".

თბილისელები უკვე შეეჩვივნენ ქალაქში სურსათით ვაჭრობის ახლად შემოღებულ წესს, რომელიც დღითიდღე სულ უფრო იხვეწება. ეგებ სჯობდეს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და დედაქალაქის ხელმძღვანელებმა სამრეწველო საქონლით ვაჭრობის გასაუმჯობესებლადაც მოიფიქრონ რაიმე ახალი ორგანიზაციული წესი, ოღონდ ისეთი, რომელიც ამ საქონელს ნამდვილ მომხმარებლამდე მიიტანს.

მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ეგებ ისევ გვესინჯა ერთხანს ჩვენს ქალაქში დამკვიდრებული არც თუ ურიგო ფორმა — დეფიციტური სამრეწველო ნაწარმის წარმოება-დაწესებულებებში შეტანა, რაც თავიდან აგვაცილებდა იმ მატერიალურსა თუ მორალურ ზარალს, რასაც ყოველდღიურად ასე მტკივნეულად განვიცდით ჩვენც და ჩვენი თბილისიც.

ბია ელიძე

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № [illegible]
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 99-82-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება [illegible]
კორპუსში, ხიმშიაშვილის ქ. № 22.
შეკვეთა [illegible]

X1

საქართველოს რესპუბლიკა